

ნიკოლოზ ცქვიტინიძე

ჩიხორის ქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი

დასავლეთ საქართველოს ქალკოლითის ხანის ძეგლების შესწავლის ისტორია რამდენიმე ათწლეულს ითვლის. ზოგიერთი ძეგლისადმი მიძღვნილია მონოგრაფიები, ხოლო ზოგიერთი ძეგლი გამოქვეყნებულია სამეცნიერო სტატიების სახით, თუმცა ზოგიერთი საკითხი მაინც ბუნდოვანი რჩება.

პალეოლითური და მეზოლითური ნასახლარების ძიებისას, საპჭოთა ეპოქაში გაითხარა მრავალი მღვიმეური ძეგლი, რომელთა ზედა ფენებში აღმოჩნდა ქალკოლითური პერიოდს ნაშთები, თუმცა ხშირ შემთხვევაში მკვლევართა ინტერესის სფეროში მხოლოდ ძველი და შუა ქვისხანის შემცველი ფენები ექცეოდა, ხოლო ქალკოლითური ნამოსახლარები ყურადღების მიღმა რჩებოდა.

რაც შეეხება სამოსახლოების ტიპებს, ნეოლითის ეპოქაში ადამიანი ტოვებს მღვიმეებს და ქმნის ახალ, ღია ტიპის ნამოსახლარებს. ამ პერიოდში, ადამიანი მხოლოდ ძალზე ადრეულ ეტაპზე (მეზოლით-ნეოლითის საზღვრზე) რჩება მღვიმეებში, ხოლო შემდეგ ტოვებს მათ და მთელი ნეოლითის ეპოქაში ცხოვრობს ღია ტიპის ნამოსახლარებზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალკოლითის ხანაში ადამიანი უბრუნდება მღვიმეებს (დარკვეთის ეხის III-II ფენები [ნებიერიძე, 1978], სამეცნიერო კლდე, საგვარჯილე, სამერცხლე კლდე, ცუცხვათი და სხვ. [საქართველოს არქეოლოგია ტ. I, 1992], თუმცა გარკვეული ჯგუფები კვლავ აგრძელებენ ღია ტიპის ნამოსახლარებზე ცხოვრებას (ახალსოფელი (ტყიბულის რაიონში) [ნებიერიძე, 2001, 23-33], ჩიხორი, ძევრი, თეთრამინა [ცქვიტინიძე, 2012, 18-38], ჩაქვი [მირცხულავა, 1976]. დასავლეთ საქართველოს ქალკოლითურ კომპლექსებში მრავლად გეხვდება ისეთი არტეფაქტები (ქვის სამაჯურები, სოჭი-ადლერის ტიპის თოხები და სხვ.) [ცქვიტინიძე, 2012, 18-38], რომლებიც დამახასიათებელია ჩიხორის კავკასიის და ჩრდილო-აღმოსავლეთ

შავიზღვისპირეთისათვის, გარდა ამისა, კერამიკული ნაწარმი ავლენს სიახლოვეს, როგორც აღმოსავლეთ, ისე სამხრეთ საქართველოს ქალკოლითური კოპლექსებისთვის დამახასიათებელ კერამიკასთან.

დასავლეთ საქართველოს ქალკოლითიური ძეგლები იჩენს მსგავსებას მის წინამორბედ ეპოქასთან, ნეოლითთან, თუმცა ამ ორ ეპოქას შორის „საზღვარი“ მეტ-ნაკლებად მკაფიოდ [ნებიერიძე, 1978, 24]. ამ ეპოქების ქვის ინდუსტრიებს შორის აშკარად იკვეთება კავშირი და შეგვიძლია თვალი გავადევნოთ, თუ როგორ იცვლება ზოგიერთი იარაღი. რამდენადაც მკაფიოდ ზღვარი ნეოლით-ქალკოლითს შორის, იმდენად ბუნდოვანია გვიანქალკოლითსა და ადრებრინჯაოს პერიოდებს შორის გარდამავალი ეტაპი.

ჩიხორის ქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი და სახელოსნო რიონ-ყვირილას აუზის რეგიონის პირველი „ლია“ ნამოსახლარი ძეგლია, რომელიც არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა შესწავლილი, თუმცა ნაშრომში ჩვენ მხოლოდ ნამოსახლარზე მოპოვებულ მასალას მიმოვისილავთ, ხოლო ნამოსახლარის და სახელოსნოს კომპლექსურად შესწავლა ჩვენ მომავლის პერსპექტივად გვესახება. მანამდე ცნობილი გვაანქალკოლითური ღია ხამოსახლარების მასალები ზედაპირული შეგროვების გზით იყო მოპოვებული (თეთრამიწა, ოკრიბის ახალსოფელი) [ცევიტინიძე, 2012].

ამ რეგიონის ღია ქალკოლითური ნამოსახლარები ჯერჯერობით მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი და შესწავლილი, სულ ორიოდე ძეგლი, ამიტომ ყოველი ახალი ძეგლის გამოვლენა, შესწავლა და მისი სამეცნიერო მიმოქცევაში შესვლა მნიშვნელოვანია ამ რეგიონის ქალკოლითური კულტურის თვალსაზრისით.

ღია ნამოსახლარებისა და მათ შორის, ჩიხორის არქეოლოგიური შესწავლის მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა დასავლეთ საქართველოს მღვიმური ქალკოლითური ძეგლების აღმოჩენისა და შესწავლის შემდეგ.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ჩიხორის ნამოსახლარის განათხარი ნაშთების კულტურული კუთვნილების, ქრონოლოგია-პერიოდიზაციისა და რაც მთავარია, ჩიხორის ნამოსახლარის შესახებ არსებული მონაცემებისა და მისი მასალის გამოქვეყნება, რომელიც მოპოვებულია არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თერჯოლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 80-ან წლებში (ხელმძ. ლ. ნებიერიძე). ძეგლი დღემდე არ არის მონოგრაფიულად შესწავლილი, არსებობს მხოლოდ გათხრის მოკლე ანგარიშები [ПАИ В 1981-1986].

ძეგლის შესწავლისას, პირველ რიგში, მიზნად ვისახავთ ჩიხორის ნამოსახლარის ნივთიერი მასალის (ცერამიკა, ქვის ინდუსტრია, ძვალი, ლითონი) დეტალურ შესწავლას დასავლეთ საქართველოს დანარჩენ ქალკოლითურ ძეგლებთან კავშირში, მათი ქრონოლოგიური და კულტურული ურთიერთმიმართების გარკვევას და მისი ადგილის განსაზღვრას დასავლეთ ამიერ-კავკასიის ადრესამინათმოქმედო კულტურის ძეგლებს შორის.

აღნიშნული ძეგლის შესწავლას შევეცდებით კომპლექსური მეთოდით. არქეოლოგიური კვლევის მეთოდებთან ერთად ვიყენებთ დამხმარე მეცნიერებების კვლევის შედეგებსაც. კერძოდ, ქ. ესაკიას მიერ ტრასოლოგიური ანალიზის მეთოდით შესწავლილი იყო ჩიხორის კაჟის იარაღების ნაწილი, განისაზღვრა ტიპოლოგიურად გაურკვეველი იარაღების ფუნქცია.

აღნიშნული მეთოდით მასალის შესწავლა ქალკოლითის ეპოქის პალეოეკონომიკის საკითხების კვლევის შესაძლებლობას იძლევა. აგრეთვე ვიყენებთ პალეონტოლოგიური და პალეოეთნობოტანიკური კვლევის შეეგებს (ნ. ბურჩა-აბრამოვიჩი, ნანა რუსიშვილი) და სინგრონული ძეგლების რადიონახშირბადულ (14C) კალიბრირებულ თარიღებს. ლითონის ქიმიური შემადგენლობა განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ლაბორატორიაში.

პირველყოფილი საზოგადოების ისტორიაში ქალკოლითის ხანა მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს. ნეოლითის ხანაში ჩამოყალიბებული ეკონომიკის ახალი ფორმები – მინათმოქმედება და მესაქონლეობა, ქალკოლითის დროს კიდევ უფრო წინაურდება და მეურნეობაში თანდათანობით წამყვან ადგილს იკავებს. ამ ხანაში ადამიანი პირველად ეცნობა ლითონს და მის დამუშავებას ცივი ჭედვის თუ დნობის მეთოდით, ამიტომ, ამ ეპოქას ქალკოლითს, სპილენძ-ქვის ხანას უწოდებენ და ქვიდან ლითონის ხანაზე გარდამავალ პერიოდად მიიჩნევენ, თუმცა არსებობს აზრი, რომ ამ საფეხურზე იმდენად მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა საზოგადოების (ცხოვრებაში, რომ ქალკოლითი უკვე შეიძლება სავსებით დამოუკიდებელ ისტორიულ ეპოქად მივიჩნიოთ. მართალია, ქალკოლითის ხანაში ქვის იარაღი ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მეურნეობაში, მაგრამ ლითონის შემოსვლამ საზოგადოებაში შესამჩნევი წინსვლა გამოიწვია და ეს საფეხური უკვე საგრძნობლად გამოირჩევა წინა პერიოდებისგან. ამიერკავკასიაში, ქალკოლითის ხანაში მნიშვნელოვანად წინაურდება ახალი სახის ეკონომიკა, რასაც შედეგად ადრესამინათმოქმედო კულტურების ჩამოყალიბება მოჰყვა [ჯაფარიძე, 1992, 5].

ამიერკავკასიაში, თითქმის მთელი ქვის ხანის მანძილზე, მოსახლეობა ძირითადად მის დასავლეთ ნაწილში იყო კონცენტრირებული. აღმოსავლეთ ამიერკავკასია, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველო, ამ დროს შედარებით ნაკლებად დასახლებული ჩანს. მისი ათვისება ადრესამინათმოქმედო კულტურის ხანაში, ქალკოლიტის დროს იწყება და ადრე ბრინჯაოს ეპოქაში, იგი უკვე ინტენსიურადა დასახლებული [ჭაფარიძე, 1992, 5].

დასავლეთ საქართველო ქალკოლიტის ხანაში უკვე ფართოდ ათვისებული ჩანს. ქალკოლიტური ხანის ძეგლები გვხვდება დასავლეთ საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე და მოიცავს გაცილებით მეტ ფართობს, ვიდრე ნეოლიტურ ძეგლებს ეკავათ. ქალკოლიტური ხანის ნასახლარები უმეტესად განლაგებულია პლატოებზე, ზღვისპირა ტერასებზე, მდინარეთა ხეობებში, კოლხეთის დაბლობის მთისწინა გარემომცველ ბორცვოვან ზოლში და ასევე მაღალმთიან ადგილებშიც. გამონაკლისს მხოლოდ საკუთრივ კოლხეთის დაბლობი – რიონის შესართავი და მისი ქედი დინების აუზი წარმოადგენს, სადაც გეოკლიმატური პირობები იმ დროს გამორიცხავდა ადამიანის განსახლების შესაძლებლობას [ფხავაძე, 1992, 216].

ქალკოლიტური ხანის ძეგლები განსაკუთრებული ინტენსივობით თავმოყრილია ორ რეგიონში: რიონ-ყვირილას აუზში და ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში. რიონ-ყვირილას აუზში ნამოსახლარების ორი ტიპია წარმოდგენილი: მღვიმური ნამოსახლარები და ლია სადგომები [ფხავაძე, 1992, 216].

შშრალი, კარსტული მღვიმები ადამიანს ჯერ კიდევ ძველი ქვის ხანიდან აქვს ათვისებული. აქვე სახლობს ის ქალკოლიტისა და ადრე ბრინჯაოს ხანაშიც. ამ პერიოდის ცხოვრების კვალი მღვიმეებში შემორჩენილია კულტურული ფენების სახით. ზოგიერთ მღვიმეში – სამელე კლდე [ჭავახიშვილი, 1972], საგვარჯილე [კილაძე, 1959], დარკვეთი [წებიერიძე, 1978] – ამ ფენაში ჰორიზონტების გამოყოფაც ხერხდება, რომელთაგან ზედა III-II ჰორიზონტი ქალკოლიტის ეპოქას ეკუთვნის, ხოლო სულ ზედა I – ადრე ბრინჯაოს ხანას [წებიერიძე, 1978]. ზოგ მღვიმეში მხოლოდ ქალკოლიტური ფენაა წარმოდგენილი (თეთრი მღვიმე, ძუძუანა [ფხავაძე, 1992, 217]).

ქალკოლიტური ხანის კულტურული ნაშთები აღმოჩნდა ამავე ტერიტორიაზე განლაგებულ ლია ნამოსახლარებზე: თეთრამინაზე [ცქვიტინიძე, 2012, 18-38], ჩიხორში [წებიერიძე, 1986] და ოკრიბის ახალსოფელში [წებიერიძე, 2001]. ლია ნამოსახლარები მდებარეობს უპირატესად ბუნებრივ შემაღლებებსა და კონცხისებურ წარმონაქმნებზე.

ქალკოლითის ხანა დასავლეთ ამიერკავკასიაში იყო ნეოლითის შედეგების დამკვიდრების, ადრესამინათმოქმედო კულტურის ნამოსახლარების უფრო ფართოდ გავრცელების პერიოდი, რომელიც დამთავრდა ადრებრინჯაოს ხანის დასავლური, მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომთა მკაფიო და თვითმყოფადი კულტურის ნარმოქმნით. დიდი ხნის წინათ მიტოვებული მღვიმეების ხელახლა ათვისება ქალკოლითის ხანაში საზოგადოების გარკვეული ჯგუფების მიერ უნდა უკავშირდებოდეს ამ ეპოქაში მომხდარ ძერებს (მელითონეობა, მესაქონლეობა) [წებიერიძე, 1986].

არსებული მასალები გვიჩვენებს, რომ დასავლეთ ამიერკავკასიისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის კულტურულ-ისტორიული განვითარება უძველესი დროიდან ერთი გზით მიდიოდა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აღნიშნულ კულტურათა კავშირის ღრმა ფესვები წინარე კულტურებთან. ქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანაში კი ეს კულტურები ვითარდებოდა მჭიდრო ურთიერთზემოქმედების პირობებში და კავშირი ჰქონდათ თავის სამხრეთელ და ჩრდილოელ მეზობლებთან, რომელთაგან იძენდნენ კულტურის მიღწევებს. დასავლეთ ამიერკავკასიის უძველესი კულტურების შესწავლა გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ რეგიონში არსებობდა მნარმოებლური მეურნეობის უძველესი კერა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის უძველეს მიწათმოქმედ-მესაქონლეთა კულტურების ჩამოყალიბებაში [წებიერიძე, 1986].

ჩიხორის ნამოსახლარის გათხრები და სტრატიგრაფია

ჩხარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულმა, თერჯოლის რაიონის სხვადასხვა პუნქტებიდან (ჩიხორი, ალისუბანი, სიმონეთი, ძევრი და სხვ.) მომდინარე მეტად საინტერესო ნეოლით-ქალკოლითური ხანის მასალებმა განაპირობა თერჯოლის რაიონში არქეოლოგიური დაზვერვების ჩატარება. ადგილობრივი მხარეთმცოდნის, ჩხარის მუზეუმის დამაარსებლის, ალექსანდრე ბუცხრიკიძის დახმარებით თერჯოლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მოახერხა მასალის აღმოჩენის ადგილის შემოწმება. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სოფელი ჩიხორის (თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ზედა საზანოს თემი) გორის მასალამ, რომელიც აღმოჩენილია ამ გორის (ჩოჩირიგვარა – გორის უძველესი სახელია ადგილობრივად დადასტურებული) აღმოსავლეთ ფერდზე მძიმე ტექნიკის მიერ გზის გაჭრის დროს. აღნიშნული პირების თანხლებით ექსპედიციის წევრებმა მოინახულეს გორა, ზედაპირულად აიკრიფა მასალა, რომელიც წარმოდგენილი იყო კაჟის იარაღებითა და წარმოების ნარჩენებით. აშკარა იყო, რომ

ბულდოზერს დაუზიანებია კულტურული ფენა, ხოლო მასალა მიმოუფანტავს [Небиериձե, 1986, 23-25].

გორის აღმოსავლეთ ფერდზე, გზის ხელმარცხნივ, მასალის თავმოყრის ადგილზე გაკეთებულმა სადაზვერვო თხრილმა (2x2 მ) დიდი რაოდენობით გამოავლინა კაჟის მასალა, რომელთა შორის იყო ნამგლის, შუბის და ისრის პირები, ასევე, საფხეცები, ლამელები და წარმოების ნარჩენები. გორის თხემზე ანალოგიურ კაჟის მასალასთან ერთად შეგროვდა თიხის ჭურჭლის ნატეხებიც.

არქეოლოგიური დაზვერვებისას აღმოჩენილმა საინტერესო მასალამ განაპირობა ჩიხორის ძეგლის გათხრა [Небиериձե, 1986, 23-25].

ჩიხორის ნამოსახლარი მდებარობს თერჯოლის რაიონში, მდინარე ძუსას (მდ. ყვირილას მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე, სოფელ ჩიხორში, ზემო საზანოს თემში მდებარე მაღალ ბუნებრივ გორაზე, რომლის სიმაღლე მდინარის დონიდან 75-80 მეტრს შეადგენს, ხოლო ზღვის დონიდან 320 მეტრს. გორა, რომელზედაც მდებარეობს ჩიხორის ნამოსახლარი, შედის კირქვების წყებაში, რომელიც მდ. ძუსას მარჯვენა ნაპირს გრძელ ზოლად მიუვვება და რამდენიმე ადგილას დასერილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ დაქანებული განიერი ხევებით და ღელებით, რომლებიც მდ. ძუსასკენ მიედინება. ნამოსახლარი მდებარეობს ჩიხორის გორის კონცხის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელსაც აღმოსავლეთიდან ესაზღვრება მდ. ძუსა, სამხრეთიდან კი განიერი უსახელო ხევი.

იმის გამო, რომ ამ გორის დედაქანი კირქვისგან შედგება, მასზე ადგილობრივი მოსახლეობა, რამდენიმე ადგილას მოიპოვებდა სამშენებლო მასალას (კირქვას).

ისტორიულად ჩიხორის გორის დასავლეთით მდებარეობდა მცირე ქალაქი ჩიხორი, რომლის მოსახლეობა უმეტესად ვაჭრობას მისდევდა [ქც, 4: 756, 21-25].

გათხრების დაწყებამდე გორის ფერდზე და თხემზე მთლიანად შეგროვდა ზედაპირული მასალა. ძეგლის გათხრა დაიწყო გორის აღმოსავლეთ ფერდზე გაკეთებული სადაზვერვო თხრილით, რადგან იქ თვალსაჩინოდ ჩანდა მასალის კოცენტრაცია [Небиериձե, 1986, 23-25].

თხრილის მაქსიმალურმა ზომებმა პირველ წელს 7.5x3 მ მიაღწია. თხრილში და საერთოდ აღმოსავლეთ ფერდზე გადარჩენილი ნიადაგის სისქე საშუალოდ 15 სმ-ია. ამ ფენის ქვეშ, მთელ ფართობზე უშუალოდ იწყებოდა კირქვის დედაქანი. აღმოჩნდა, რომ მასალა ფერდის თხრილში ლოკალურად, ერთი შეხედვით

„ბუდისებურად“ იყო თავმოყრილი. კერძოდ, იგი პირველ სადაზ-ვერვო თხრილში დაახლობით 4×2 მ ფართობზე გრძელდებოდა, შემდეგ კი უეცრად წყდებოდა. მასალის გავრცელების გას-არკვევად, გორის აღმოსავლეთ ფერდზე რამდენიმე ადგილას შემოწმდა ფენა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი კულტურულ ნაშთებს არ შეიცავდა. აშენარა გახდა, რომ გზაზე მოფანტული მასალა ამ „ბუდიდან“ მომდინარეობდა, რომელიც პირველ სადაზვერვო თხრილში მოექცა.

გორის ფერდის სადაზვერვო თხრილში კერამიკა და ძვლოვანი მასალა არ აღმოჩენილა. მაგრამ დაფიქსირდა ვ3.980 ერთეული კაუის მასალა, რომელიც წარმოდგენილი იყო კაუის კაჭრებით, ნუკლეუსებით, ანატკეც-ანამტვრევებით და კაჭრისკანიანი ანატ-კეცებით. ყურადღებას იპყრობს წარმოების ნაშთების სიმრავ-ლეში ცეცხლის კვალის მქონე ანატკეც-ანამტვრევების სიმცირე (16 ერთეული). დაახლოებით 1.922 ერთეული წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ზომის ლამელებით, ლამელისებური ანატკეცებით, იარაღების წახევარფაბრიკატებით, იარაღის დამზადებისას და-ზიანებულ-დაუმთავრებელი (წარმოების წუნი) ცალებით და მზა ნაზარმით. ყველაზე მცირე რაოდენობით იქ დამთავრებული, სრულყოფილი იარაღები იყო.

აღნიშნული თხრილის გათხრისას მიღებულმა მონაცემებმა, კერძოდ მასალის ლოკალურმა გავრცელებამ, მისმა განსა-კუთრებულმა სიჭარებები მცირე ფართობზე, კომპლექსში წარ-მოების ნაშთების რაოდენობის დიდმა უპირატესობამ, მათში წარმოდგენილმა წარმოების ყველა სტადიის ამსახველმა მა-სალამ, ძვლოვანი და კერამიკული მასალის არარსებობამ, დიდი რაოდენობით წამზადების, წახევარფაბრიკატების, დამზადებისას დაზიანებულ-დაუმთავრებელი იარაღების აღმოჩენამ ძეგლის გამოხატვით მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ნამოსახლარის აღ-მოსავლეთ ფერდის ამ ნაწილში საქმე ჰქონდათ კაუის იარაღის დამზადებელ სახელოსნოს ნაშთთან, რომელიც ფერდის სშირი გადარეცხვისა და მძიმე ტექნიკის გამო ძლიერ დაზიანდა. გა-დარჩა მხოლოდ მისი მცირე მონაკვეთი, რომელშიც „ბუდობის“ მსგავსად, მასალა იყო აკუმულირებული.

მოსაზრებას კიდევ უფრო ამტკიცებს გორის თხემზე დაზ-ვერვითი გათხრების შედეგები. იქ აღმოჩენილი ნამოსახლარის კულტურულ ფენებში მოპოვებული კაუის იარაღები დამუშავების ტექნიკით და ფორმებით ანალოგიურია „სახელოსნოში“ მოპოვე-ბული მასალისა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ამ იარაღების უმეტესობას სრულყოფილი და დახვეწილი იერი აქვს. ამასთანავე

ნამოსახლარზე აღნიშნულ მასალასთან ერთად ნაპოვნი იყო მრავალრიცხოვანი კერამიკული ჭურჭლის ნატეხები, ფაუნის ნაშთები (ნასუფრალი), ძვლის და რქის მინის დასამუშავებელი იარაღები, ნაგებობის იატაკზე გრანიტის ნავისებური ხელსაფქვავები, რამდენიმე ლითონის ნივთი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები.

გორის თხემი სწორია და ოდნავ დამრეცი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. გორის თავს საყანედ დღესაც იყენებენ, რის გამოც ფართობი გუთნით იხვნებოდა დაახლოებით ვე სმ. სილ-რმეზე. თხემის ნაპირებთან დატოვებული იყო დაახლოებით 5 მ. სიგანის ზოლი. სწორედ ამ თავისუფალ ადგილას დაიწყო ექსპედიციამ გათხრები.

გასათხრელი ფართობი წინასწარ დაიყო კვადრატებად (2×2 მ). თანამედროვე ნიადაგის ზოლზე აღებული იყო პირობითი ნულოვანი ხაზი, რომელიც მიება თხემის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე კლდეზე აღებულ მუდმივ რეპერს

თხემის აღმოსავლეთ კიდის გასწვრივ მოინიშნა გრძივი თხრილი (№2). დაიწყო მისი ცალკეული კვადრატების (მე-8, 22A, 22B, 21A, 21B) გათხრა (სურ. 3-5). ეს კვადრატები დიდი თხრილის დაახლოებით თავსა და შუა ნაწილზე მოდიოდა. ექსპედიციამ გათხრა ასე არჩია, რადგან პირველ წელს თხემზე წარმოებულ სამუშაოებს დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა. თხრილი ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით იყო დამხრობილი. მასში მოექცა ვე კვადრატიანი ორმნერივა ზოლი ე.ი. სულ 2×2 მ-ის ზომის 60 კვადრატი.

ჩიხორის გორის თხემზე (თხრილი №2) შემდეგი სტრატიგრაფიული სურათი დადასტურდა:

აღმოჩნდა ფიზიკურად განსხვავებული სამი ფენა:

I ფენა (ზედა) – მოყავისფრო პუმუსნარევი, სისქე 23-25 სმ.

ფენა მთლიანად დარღვეული იყო თანამედროვე მინის სამუშაოებით, რომელიც გორის თხემზე მიმდინარეობდა. ამიტომ, მასალა უშუალოდ მინის ზედაპირზეც ფიქსირდებოდა.

II ფენა – შავი, ნაცროვანი, ნახანძრალი ვო-ვ2 სმ. სისქისა მასში ჩნდებოდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, კაუის იარაღები, წარმოების ნარჩენები და ცხოველთა ძვლები. სტრატიგრაფიამ აჩვენა, რომ დაზიანებული იყო II ფენის ზედა ნაწილი. რასაც მოწმობდა ამ ფენის მასალის პოვნა I ფენაში [Hebniereidze, 1986, 23-25].

III – მოყვითალო თიხნარი დაახლ. I მ სისქის სტერილური ფენა, რომლის ზედა ნაწილში ჩნდებოდა წინა ფენის მცირეოდენი მასალა. აღნიშნული ფენა კი უშუალოდ კირქვის დედაქანზე დევს.

თიხები წარმოქმნილია კირქვის გამოქარვის შედეგად და შერჩენილია მხოლოდ გორის თხემზე. ამ ყვითელ თიხებზე დევს

მეოთხეული წარმოშობის კულტურული ფენები, რომელთა საერთო სისქეა დაახლოებითი 60 სმ [Hebniyerdze, 1986, 23-25].

II კულტურულ ფენაში მოჩანდა ქვის მშრალი წყობით ნაგები მკვიდრი დასახლების კვალი – ქვის ნაგებობების ოთხუთხა საძირკვლები, კერები, სამეურნეო ორმოები, გადამწვარ-დანახშირებული ლინზები. ქვის წყობების ნაწილი თავის დროზე გუთნით იყო დაზიანებული. წყობა თიხნარზე იდო და შედგებოდა კირქვებისა და რიყის დიდი ზომის ქვებისგან, რომელიც როგორც ჩანს, მდინარიდან სპეციალურად უნდა ყოფილიყო ამოტანილი სამშენებლო მიზნებისთვის [Hebniyerdze, 1986, 23-25].

VIII კვადრატში აღმოსავლეთით, კედლის ჩაჭრილში გამოჩნდა მუქი ნაცროვანი ორმო. ამავე კვადრატის თიხის ფენაზე აღმოჩნდა კაჟის კიდურა საფხეცი და ობსიდიანის ირგვლივრეტუშირებული ლამელა. უკანასკნელის ტრასოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ იგი წარმოადგენდა გადაკეთებულ, ძველ, პატინირებულ იარაღს.

XIII კვადრატში გაიწმინდა რიყის ქვებით შემოწყობილი ნიშისებური პატარა სათავსო, რომელიც აღმოჩნდა კერამიკის პატარა კოჭობი და ლამელისებურ ანატკეცვზე დამზადებული კაჟის კიდურა საფხეცი [Hebniyerdze, 1986, 23].

XXII კვადრატის ჩრდილო კედლის ჭრილში გამოჩნდა ბრტყელ-ძირა ნაცროვანი ორმო, რომელიც ზემოთ ფართოვდებოდა. მისი პირის სიგანე 60 სმ. ძირი კი 70 სმ სიღმეზე მთავრდებოდა და ნაწილობრივ თიხნარში იყო ჩაჭრილი. ორმო მოიცავდა 23A-B – 24A-B კვადრატებს. იგი თხრილის აღმოსავლეთითაც გადიოდა. ამ ორმოს თავზე პრეპარირებული იყო შავი კერამიკის ფრაგმენტები, ცხოველის ძვლები და კაჟის მასალით წარმოდგენილი მრავალრიცხვანი არტეფაქტები [Hebniyerdze, 1986, 23-25].

ნამოსახლარის II თხრილში აღმოჩნდა ბათქაშის ნატეხები, რომელთა ნაწილს წნევლის ანაბეჭდები ეტყყობოდა.

სტრატიგრაფიის და ძეგლის გავრცელების არეალის დადგენის მიზნით, გორის თხემზე სამხრეთ ნაწილში გაივლო III და IV თხრილები ზომით $4x2$ მ. V, VI და VII თხრილები (ზომით $6x2$ მ.) კი გაივლო ჩიხორის გორის დასავლეთ ნაწილში. აღნიშნულ თხრილებში საერთოდ არ დადასტურებულა მასალა. გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ჩიხორის გორა დასახლებული იყო მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში

გათხრების შედეგად ჩიხორის გორის თხემის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ძველი ნამოსახლარის ნაშთები – ნაგებობათა ქვის საძირკვლები, კერის ნაშთები, სამეურნეო ორმოები,

კერამიკის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები, ძვლის იარაღები, ლითონის სამი ნივთი, გარეული და შინაური ცხოველების ძვლები, კაუის სამეურნეო თუ სანადირო იარაღები. გათხრების პროცესში დადგინდა, რომ ნაგებობათა საძირკვლები ნაგები იყო უშუალოდ დედაქანზე (ყვითელი თიხები) ფლეთილი და დიდი ზომის ქვით, შემაკავშირებელი ხსნარის გარეშე. სტრატიგრაფიული სურათი ყველა დანარჩენ თხრილში II თხრილის ანალოგიური იყო [Небиеридзе, 1986, 23-25].

კერამიკა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩიხორის ნამოსახლარზე დიდი რაოდენობით იყო აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (სულ 4.310 ერთ.), რომელთა სრული აღდგენა არ მოხერხდა.

კერამიკული ნაკეთობების ცალკეული ნაწილების (პირები, ძირები, კედლის ფრაგმენტები, ყურები) შესწავლა წარმოდგენას იძლევა მათ ფორმებზე, დანიშნულებაზე, კეცის სტრუქტურაზე, ზოგიერთ ტექნოლოგიურ პროცესზე და მისი ზოგადი დახასიათების საშუალებას იძლევა.

ჭურჭელი ხელით არის დამზადებული, ადგილობრივი, დასავლეთ საქართველოს თიხისგან. მისი ცალკეული ფრაგმენტები ეკუთვნიდა ქილისებურ, ქოთნისებურ და ჯამისებურ ჭურჭლებს, რომლებიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო, როგორც საკვები პროდუქტის შესანახად, ასევე ყოველდღიური ხმარებისათვის. ჩიხორის სამეთუნეო ნაწარმს შორის არის პროდუქცია საოჯახო მოხმარებისათვის, ასევე ტექნიკური – ყალიბის ფრაგმენტები, თიხის კვირისტავები, ოთხეუთხა და ნრის ფორმის გახვრეტილი ნივთები, ასევე ბათქაშის ნატეხები წნელების ანაბეჭდებით. კერამიკული ჭურჭლი ძირითადად არათანაბრადა გამომწვარი.

ჩიხორის სამეთუნეო ნაწარმში ძირითადად ორი ჯგუფი შეგვიძლია გამოყოფილია:

1. მონითალო-მოყავისფრო, ზოგჯერ მოვარდისფრო-მონაცრისფრო, ერთფენიანი, წარმოდგენილი ქილისებური და ქოთნისებური ნაკეთობებით. სწორი, ზოგჯერ ოდნავ გამობერილი კედლებით, ყელის გარეშე, ოდნავ გადმოშლილი პირით, ბრტყელძირა, ოვალურხელიანი, სფეროსებრი ყურებით, სუსტად (ოდნავ) ნაპრიალები, უორნამენტო, მცირე რაოდენობით კობისებური ან რქისებური შვერილებით, კეცში დიდი რაოდენობით ქარსისა და კვარცის მინარევებით. ჭურჭლის დიამეტრი საშუალოდ მერყეობს 18-25 სმ.-ს შორის (სურ. 8; 10; 11, I-4).

ეს კერამიკა საერთოს პოულობს დასავლეთ საქართველოს მღვიმების ზედა ფენების კერამიკასთან (დარკვეთი, სამელე კლდე, საგვარჯილე, თეთრი მღვიმე და ა.შ.).

2. შავი, ვარდისფერსარჩულიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ქოთნები, ჯამები, ბადის სებური ნაკეთობები). ბრტყელძირა, სუსტად გამოხატული ყელით, ნახევარსფერული, ოვალური ან მრგვალხრელიანი ყურებით, უორნამენტო. ამ ჯგუფში გამოიყოფა თხელკეციანი ფრაგმენტები 0.8-1 სმ სისქისა და სქელკეციანი 1-1.5 სმ სისქისა.

I ჯგუფში გვხვდება მოწითალო-მოყავისფრო-მოშავო შიდა-პირიანი ნატეხებიც, კვარცის და ქარსის მინარევებით და მონაცრისფრო-მოყავისფრო ფრაგმენტები.

I ჯგუფის კერამიკასთან შედარებით მინარევები მათში ნაკლებია, კეციც უფრო მკვრივია (370 ფრაგმენტი).

I ჯგუფის ჯერამიკაში 62 ც. პირის ფრაგმენტია. მათი დიდი ნაწილი ეკუთვნოდა ოდნავ პირგაშლილ ქოთნისებურ ჭურჭლებს. ზოგი პირი ასიმეტრიულია, ზოგი კი მოგლესილი და შეიმჩნევა სუსტი გაპრიალების კვალი. ერთ-ერთ ფრაგმენტზე (№655) პირთან კოპია დატანილი. ზოგი ნატეხი ხაოიანია, ზოგიერთი ნაკეთობის ბაკოს და კედლის სისქე თანაბარია, ზოგზე კი ბაკო კედელზე უფრო თხელია. არის პირმომრგვალებული ბაკოებიც.

ამავე ჯგუფის კერამიკაში გამოიყოფა სამი განსხვავებული ფორმის ძირი:

- 1) ძირიდან კუთხოვანი გადასვლით. ეს ყველაზე დიდი ჯგუფია (63. ფრ.). (სურ. 11, 5);
- 2) ძირიდან კედლებზე ქუსლიანი გადასვლით (3 ფრ.);
- 3) მომრგვალო-მობრტყელო ძირები (2 ფრ.) (სურ. 12,5).

შავპრიალა ვარდისფერსარჩულიანი კერამიკა (645 ფრ.). მასში ორი ჯგუფი შეიძლება გამოიყოს:

პირველი ქვეჯგუფის კერამიკას შიდაპირზე აქვს განლექილი თიხის სარჩული, ხოლო ზედაპირი შავადაა ნაპრიალები. კეციში მცირე რაოდენობით იგივე წვრილმარცვლოვანი მინარევები შეიმჩნევა. ამ ჯგუფის კეცი უფრო მკვრივია. შავპრიალა ზედაპირზე და შიდაპირზე შეიმჩნევა ქარსის უწვრილესი ნაწილაკები.

მეორე ქვეჯგუფის კერამიკის კეცის სტრუქტურა იგივეა, როგორც მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი კერამიკა ხაოიანი ზედაპირით. დიდი რაოდენობით შეიცავს იგივე მინარევებს.

ჩიხორის კერამიკაში კარგად შეიმჩნევა მოყავისფრო-მოწითალოდ გამომწვარი ჭურჭლებიდან შავპრიალაზედაპირიან და ვარდისფერსარჩულიანზე გადასვლა. არის პატარა ჯგუფი

ფრაგმენტებისა, რომლებზედაც ეს გადასვლა კარგად ჩანს. მოყავისფრო-მოწითალოდ გამომწვარ ჭურჭლებზე და ამ პატარა ჯგუფის კერამიკაში ერთნაირი მინარევებია. ამ ფრაგმენტების შიდაპირი და კეცი გადანატეხში ისეთივეა, როგორც პირველი ჯგუფის კერამიკა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ამ ჯგუფის კერამიკის ზედაპირი შავადაა გამომწვარი და ნაპრიალები, შიდაპირი კი – ხაონანი.

ჩიხორის ნამოსახლარის კერამიკულ კომპლექსში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „მტკვარ-არაქსული“ კულტურისთვის დამახასიათებელი ათიოდე ფრაგმენტი. ეს ნანარმი მცველობად განსხვავდება ჩიხორის ნამოსახლარის ზემოთ აღნერილი კერამიკის ჯგუფებიდან და „მტკვარ-არაქსულ“ იმპორტს უნდა წარმოადგენდეს დასავლეთ საქართველოში. ეს ფრაგმენტები ყველა ნიშნით ახლოს დგას აღმოსავლეთ საქართველოს „მტკვარ-არაქსულ“ ნანარმთან.

ჩიხორის ნამოსახლარის III ორმოში ნაპოვნი იყო თიხის ნაცრისფრად გამომწვარი ჩალენილი ქოთნისებური ჭურჭლის ნატეხები, რომლის მთლიანად აღდგენა არ მოხერხდა. დაახლოებით აღდგა მისი პროფილი, რამაც გვიჩვენა, რომ ჭურჭლს გამობერილი მუცელი და ოდნავ გადმოშლილი პირი ჰქონდა. ძირის ფრაგმენტები არ აღმოჩნდა.

ჩიხორის ნამოსახლარზე ნაპოვნი იყო წნელის ანაბეჭდიანი ბათქაშები, რაც აქ გვავარაუდებინებს ქვის საძირკველზე და-ფუქნებულ, ბათქაშით შელესილ წნულ ნაგებობებს. აქვე ნაპოვნი იყო კერამიკის კონუსური ფორმის ორიოდე კვირისტავი. ნამოსახლარზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის კედლის ფრაგმენტებისგან ნაკუთები ოთხკუთხა ან მრგვალი გახვრეტილი ფრაგმენტები. ორივე ფორმის ფრაგმენტებს ნაპირები ხეხვით ჰქონდა დამუშავებული. ეს ნივთები, სავარაუდოდ, კერამიკულ საკიდებს უნდა წარმოადგენდნენ. შესაძლოა, ეს საკიდები წარმოადგენდა ავგაროზებს და გამოყენებული იყო საქოხლის კისერზე შესაბმელად, ავი თვალისებან დასაცავად. ამგვარმა ტრადიციამ ბოლო დრომდე მოაღწია ამავე სოფლის მცხოვრებლებთა წეს-ჩვეულებებში.

ნამოსახლარზე ნაპოვნია კერამიკული ყალიბის სამიოდე ფრაგმენტი. ჩამოსხმული ნივთის ფორმის დადგენა შეუძლებელია.

ქვის ინდუსტრია

კაუის მასალის წარმოდგენისას შეგნებულად მოვერიდეთ წინამდებარე სტატიაში მის დეტალურ დახასიათებას, რადგან ნამოსახლარზე აღმოჩენილი კაუის ნანარმი საკმაოდ მრავალ-ფეროვანია, მოიცავს მრავალრიცხვოვან კომპონენტებს მათი ცალკეული ტიპებითა და ქვეტიპებით, რაც ნაშრომს საკმაოდ გადატვირთავდა. ზოგადად აღნიშნავთ, რომ ნამოსახლარზე გათხრების შედეგად სულ მოპოვებულია 2145 ერთეული კაუის მასალა. ნედლეულის ძირითად წყაროს წარმოადგანდა უპირატესად ყავისფერი, შედარებით ნაკლებად, ნაცრისფერი, ძლიერ პატინირებული, საკმაოდ უხარისხო ადგილობრივი კაუი, რომლის გამოსავლები დღესაც მკაფიოდ შეიმჩნევა მდ. ძუსას ხეობის მარცხენა ნაპირზე.

ნამოსახლარის კაუის მასალის საერთო მასიდან მკაფიოდ გამოიყოფა 1700 ერთ. წარმოების ნარჩენები და 445 ერთ. სხვა-დასხვა ტიპის იარაღთა კომპლექსი. წარმოების ნარჩენები წარმოდგენილია კაუის კაჭრებით, კონკრეციებით, ნუკლეუსებით და მათი ნატეხებით, მრავალნაირი ანატკეც-ანამტვრევებით, ნამზადებით – ლამელებისა და ლამელისებური ანატკეცებითა და კაუის დამუშავების შედეგად წარმოქმნილი სხვა ნაშთებით.

ქვემოთ მოვყავს კაუის იარაღების ძირითადი კატეგორიების მოკლე ჩამონატვალი და მათი რაოდენობა: ნამგლისპირები 59 ც., ისრისპირები 17 ც., შუბისპირები 18 ც., საჭრისები 64 ც., საფხ-ეები 19 ც., სახვრეტები 15 ც., სახოკები 11 ც., დანები 15 ც., თავრეტუშიანი ლამეები 4 ც., ამოდარულ-დაკბილული ლამელები და ანატკეცები 24 ც., დაკბილულ-ამოდარული იარაღები 174 ც., გეომეტრიული ფორმის მაკროიარაღები, დაკბილული 8 ც., რეტუშორები 9 ც., სათლელები 5 ც., შალაშინები 9 ც., ხელკვერები 4 ც., ლეკალოსებური იარაღები 5 ც.,

მათგან დავახასიათებთ მხოლოდ ზოგიერთ კატეგორიას:

ნამგლისპირები

ჩიხორის გორის კაუის იარაღებში ნამგლისპირებს წამყვანი ადგილი უჭირავს (სურ. 1). სულ ერთად, ნამოსახლარსა და სახელოსნოში მოპოვებულია 120 ერთეული მთელი და დაზიანებული ნამგლის ჩასართი. მათგან, 59 ერთეული ნამოსახლარზე აღმოჩნდა, 61 – სახელოსნოში. ყოველი მათგანი დამზადებულია კაუის სხვადასხვა ზომის და სისქის ჩვეულებრივ ან ლამელისებურ ანატკეცზე ორმხრივი ბრტყელი, წნევითი რეტუშის მეშვეობით. საიარაღე მასალად გამოყენებულია ადგილობრივი, მდ. ძუსას

მარცხენა სანაპიროს მიდამოების კაუის გამოსავლების ნედლეული. მათი დიდი ნაწილი ნაკეთებია ყავისფერი ან მოყავისფრო (მუქი, ბაცი) კაუისაგან, მცირე ნაწილი კინაცრისფერი, მონაცრისფრო (მუქი, ღია) კაუისაგან [ცეკვიტინიძე, 2019, 81-107, 81-107].

ჩიხორის გორის ნამგლისპირებში ოთხი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება ზომით, ფორმით და დამუშავების ხარისხით [ცეკვიტინიძე, 2019, 81-107].

1. ოთხეუთხა, განიერი ნამგლისპირები, ორმხრივდამუშავებული მსხვილფაცეტა, უხეში-ლრმა და ფართო-ბრტყელი, წევითი რეტუშით დამუშავებული, სწორი, დაუკილავი სამუშაო პირით. უმეტესობა ნაკეთებია მასიურ ანატკეცებზე. ნამგლის პირების ეს ჯგუფი შედარებით ადრეულად გამოიყურება. მათი უმეტესობა დაზიანებულია. მთელის საშუალო ზომებია – სიგრძე 5.6 სმ, სიგანე – 3-3.4 სმ მერყეობს (სურ. 14).

2. ოთხეუთხა ჩასართები სიგანეში საგრძნობლად შევიწროვებულია, ხოლო სიგრძეში ზოგჯერ მატულობს კიდეც. რეტუში შედარებით წვრილფაცეტა და თანამიმდევრული. მათი საერთო იერი უფრო დახვენილია. დიდ ნაწილს სამუშაო პირზე სარკისებური სიპრიალის კვალი აქვს (ე. წ. ლუსტრაჟი). სამუშაო პირი ზოგჯერ უსწორმასწოროა და სუსტად გამოხატული, შეიმჩნევა კბილანების ჩანასახი. პირველ ჯგუფთან შედარებით ისენი უფრო განვითარებულია. მთელის ზომები: სიგრძე – 4.2-6.5 სმ; სიგანე – 1.8-2.5 სმ მერყეობს (სურ. 15).

3. სამკუთხა მოყვანილობის კიდურა ჩასართები, პირზე ზოგჯერ ძლიერი ლუსტრაჟის კვალით. ამ ჯგუფის ნამგლის პირების ზოგიერთი ცალი ზომით ყველაზე დიდია: მთელის სიგრძე – 8.5 სმ; სიგანე – 2.7 სმ.

4. ნამგლის დაკბილული პირები ჩიხორის კომპლექსების ყველაზე მოგვიანო ფორმა უნდა იყოს. სიგანეში ისინი კიდევ უფრო ვიწროვდება (1.5 სმ-მდე). მთელი ნიმუშის სიგრძე 5 სმ-მდეა. რეტუში უფრო იხვეწება, კბილანების გამოსაყვანად გამოყენებულია წერტილოვანი რეტუშით ამოღარვა. იარაღი მოგრძო სწორკუთხედის ან ოვალის ფორმას იღებს. პრიალა სამუშაო პირზე მკაფიოდ შეიმჩნევა კბილანები. ამგვარი ნამგლისპირები ჩიხორის კომპლექსებში სულ 5 ცალია. მათგან 4 ცალი სახელოსნოდანაა, 1 ცალი ნამოსახლარიდან [ცეკვიტინიძე, 2019, 81-107].

ჩიხორის გორაზე აღმოჩენილი ნამგლისპირების ოთხი ჯგუფი მკაფიოდ გვიჩვენებს ამ იარღების განვითარების დინამიკას. მათში კარგად შეიმჩნევა განვითარება მასიური, უხეში, დიდი ზომის ოთხეუთხა დაუკილავი ნამგლის პირებიდან დახვენილი

ფორმის, შედარებით ფაქტიზი, მცოცავი რეტუშით დამუშავებული, დაკბილულ ნამგლისპირებამდე. მათზე კარგად ჩანს აგრეთვე, წევითი რეტუშის თანდათანობითი დახვენა და სრულყოფა [ცქვიტინძე, 2019, 81-107].

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნამოსახლარისა და სახელოსნოს კაჟის მთელი ინდუსტრია ერთმანეთის იდენტურია როგორც წევითი მიხედვით, ასევე ტექნიკურ-ტიპოლოგიური მახასიათებლებით [ცქვიტინძე, 2019, 81-107].

ჩიხორის ნამგლისპირების ერთი ნაწილი (61 ერთეული) ქ. ესაკიას მიერ დამუშავდა ტრასოლოგიურ-ფუნქციონალური მეთოდით. მათგან 29 ერთეული სახელისნოდან, 31 ერთეული – ნამოსახლარიდან. ტექნიკურ-მორფოლოგიური კლასიფიკაციით ნამგლის პირები მზადდებოდა კაჟის მასიურ, დიდ, საშუალო და ვიწრო ლამელისებური ანატკეცების ოთხკუთხა, სამკუთხა და ოდნავ მორკალური ნამზადებისაგან. რაც შეეხება მეორადი დამუშავების ტექნიკას, ძირითადად გამოყენებულია ორმხრივი, მსხვილფაცეტა წევითი რეტუში. უმეტესობის სამუშაო პირი კი გამო-ყვანილია ე.წ. ხერხისებური რეტუშით. იშვიათია დაკბილულპირიანი ჩასართები, რომელთა სამუშაო პირი ნაკეთებია წერტილოვანი (ე.წ. პუნქტირული) რეტუშით. იარაღების ტიპებს წარმოადგენდა რეტუშიანი და ურეტუში, დაკბილული და ძლიერ გაპრიალებული ნიმუშები. დაფიქსირდა მონოფუნქციური და მრავალფუნქციური ეგზემპლარები. გამოყენების კვალი არ აღმოაჩნდა ზოგიერთ ორმხრივდამუშავებული ნამგლისპირის ნატეხს. როგორც ჩანს, ისინი გამოყენებამდე დაზიანდა. ცოტაა მრავალფუნქციური ნიმუშები, ისინი უფრო მეორადებია [ცქვიტინძე, 2019, 81-107].

ნამოსახლარის 26 ნამგლის პირი ცალპირაა, სამუშაო პირზე მკაფიოდ გამოხატული ხაზოვანი კვალით. ყველა ჩასართს სამუშო პირზე, მეტ-ნაკლები ინტენსივობით, ეტყობა ე.წ. სარკისებური სიპრიალე [ესაკია, რუსიშვილი, 2000, 14].

ნამგლისპირების მეორე ნაწილი (60 ერთეული) შეისწავლა ტრასოლოგმა გ. კოროპკოვამ. შედეგები მსგავსი აღმოჩნდა. ყოველ ნიმუშზე მეტ-ნაკლები ინტენსივობით დადასტურდა გამოყენების კვალი. მათ ერთ ნაწილს პქონდა ცალი სამუშო პირი, მეორეს – ორი [ცქვიტინძე, 2019, 81-107].

ტრასოლოგიური კვლევის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული ნამგლისპირები მაგრდებოდა ხის ან ძვლის ნახევრამთვარისებრად მოხრილ ჩარჩოში, რომელიც გამოყენებული იყო კულტივირებული მარცვლეულის სამკელად [ცქვიტინძე, 2019, 81-107].

ჩიხორის ნამგლისპირები, როგორც აღვინიშნეთ, ტიპოლოგიურად სრულიად განსხვავებულია ნეოლითური ძეგლების სამკელი დანებისაგან. არც ერთ ნეოლითურ ნამოსახლარზე არ ყოფილა დადასტურებული ანატკეცვზე ნაკეთები, წევითი რეტუშით ორმხრივდამუშავაბული, ჩიხორის ანალოგიური სამკელი იარაღები. ისინი არც მღვიმური ნამოსახლარების გვიანქალკოლით-ადრე ბრინჯაოს ხანის ფენებს ახასიათებს [ცქევიტინიძე, 2019, 81-107].

ჩიხორის ნამგლისპირებს პირდაპირი ანალოგები ეძებნება დასავლეთ საქართველოს ლია გვიანქალკოლით-ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების ქვის ინდუსტრიებში (თეთრამინა, ოკრიბა (ახალსოფელი) [ცქევიტინიძე, 2019, 81-107].

ისრისპირები და შუბისპირები

ჩიხორის გორის კაუის ინდუსტრიის მეორე, მთავარი, ერთეული ყველაზე მკაფიო კომპონენტია სატყორცნი იარაღები, რომლებიც წარმოდგენილია ისრისპირებითა და შუბისპირებით. ნამოსახლარზე და სახელოსნოში აღმოჩენილია 45 ერთეული მთელი და დაზიანებული ეგზემპლარი (სურ. 14-16).

ნამოსახლარზე სულ გვაქვს 26 ერთეული – 16 ისრისპირი და 10 შუბისპირი, ხოლო სახელოსნოდან – 19 ერთეული (14-ისრისპირი, 5-შუბისპირი), ნამოსახლარიდან და სახელოსნოდან ერთად 30 ისრისპირი და 15 შუბისპირი. აქევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფუძე-წატეხილი იარაღებიდან გადარჩენილი წვერების (ნანილების) მეშვეობით მათი თავდაპირველი ფორმის განსაზღვრა შეუძლებელად. ისინი მხოლოდ მათი საერთო რაოდენობის მაჩვენებელია. ნამოსახლარიდან გვაქვს 12 ისრისპირი და 7 შუბისპირი, სახელოსნოდან კი – 10 ისრისპირი და 5 შუბისპირი, რომელთა ფორმაზე მსჯელობა შეუძლებელია. აღნიშნული კატეგორიის იარაღები დღეისათვის დასავლეთ ამიერკავკასიის ყველაზე დიდი კოლექციაა. ნამოსახლარიდან და სახელოსნოდან გვაქვს ამ იარაღების დაუმთავრებელი ნიმუშები – ნახევარფაბრიკატები, დამზადების და ხმარებისას დაზიანებული ნიმუშები. ჩიხორის გორის სატყორცნი იარაღები ფორმების სხვადასხვაგვარობით გამოირჩევა (კოლექციაში წარმოდგენილია ყუნწიანი, ფრთებდაშვებული-ამოღარული, ფრთებმორკალული, ფოთლისებური, რომბისებური, ფუძეშეზნექილი, სამკუთხედისებური მოყვანილობის ფორმები). ყოველი მათგანი მთლიანად ან ნანილობრივ არის ორმხრივდამუშავებული მსხვილფაცეტა მცოცავი რეტუშით. ჩიხორის კოლექციების ისრისპირები უმეტესად ნაკეთებია თხელ ანატკეცვებზე, მცირე ნაწილი – ლამელებზე. შუბისპირები მზადდებოდა სხვადასხვა ზომის ანატკეცებზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ

ხშირ შემთხვევაში მკაფიოდ არ ჩანს ნამზადის რაობა. ნამოსახლარისა და სახელოსნოს ისრისპირები მცირე ზომისაა (სიგრძე 2.2-3.8-სმ). ზომების მიხედვით მათში ორი ძირითადი ქვეჯგუფი გამოიყოფა: მიკროლითური და საშუალო ზომის ისრისპირები. მიკროლითური 6 ერთეული (სიგრძე 2.2-2.8 სმ) (სურ. 17). ნამოსახლარის მიკროლითების ჯგუფში რამდენიმე განსხვავებული ფორმის ისრისპირია. მათგან 4 ცალი ყუნწიანია (სურ. 17,5-7), 2 ცალი – ოდნავ ფრთადაშვებული (სურ. 17,4), 2 ცალი – ფრთა-მომრგვალებული (სურ. 17,2-3); ერთს რომბისებური ფორმა აქვს, სწორფუძიანი და ცალგვერდ ამოლარული (სიგრძე 2.4 სმ) (სურ. 17,14).

ხელსაფქვავები

ჩიხორის გორის ქვის მასალის კოლექციიდან გვაქვს აგრეთვე მიწათმოქმედების დამადასტურებელი მეორე საბუთი. ნამოსახლარის კულტურულ ფენაში და აგრეთვე ზედაპირულადაც აღმოჩნდა ე.წ. ქვის ნავისებური ხელსაფქვავების 10-ოდე ფრაგმენტი. ყოველი მათგანი სხვადასხვა ხარისხშია დაზიანებული. მათი უმეტესობა გრანიტისგანაა ნაკეთები, თუმცა არის ორივე ქვიშაქვისაც. ყველაზე დიდი ფრაგმენტის სიგრძე 24 სმ-ია, სიგანე – 16 სმ, სისქე – 12 სმ. ხელსაფქვავების ქვები დამუშავებულია წერტილოვანი მოკოდვის ტექნიკით. მათი ფრაგმენტები წარმოდგენილია, როგორც ქვედა, ისე ზედა ქვების ნიმუშებით. ქვედა ქვებს ნავისებური მოყვანილობა აქვს, ზედა კი – ბრტყელია, რომელთა ფუნქციას მარცვლეულის დასრესა-დაფქვა შეადგენდა. შემორჩენილი ფრაგმენტები სხვადასხვა სიგრძე-სიგანისაა. გრანიტის ხელსაფქვავის 3 სხვადსახვა ზომის ქვედა ქვა ნაპოვნია ნამოსახლარის XXVI კვადრატში, 20 სმ სიღრმეზე. მათგან 2 ცალის თავი წატეხილია, ერთ-ერთის მეორე ბოლო შემაღლებული და მომრგვალებულია, სამუშაო პირი ბრტყელი, ოდნავ ჩაზნექილი და ნახეხია, ზურგი კი ამობურცული. ამავე კვადრატის მესამე ხელსაფქვავის ქვა თავ-ბოლო წატეხილი – შუა ნაწილის ფრაგმენტია. იგი ყველაზე მცირე ზომისაა (სიგრძე – 11 სმ, სიგანე – 15.5 სმ), აგრეთვე ბრტყელი, ნახეხი სამუშაო პირითა და ოდნავ ამობურცული ზურგით. ფრაგმენტებიდან ერთ-ერთის თავის ნატეხი ნაპოვნი იყო XXVI კვადრატში 40 სმ სიღრმეზე (სურ. 18-19) [ცქვიტინიძე, 2019, 81-107].

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხელსაფქვავების სამივე ფრაგმენტი ერთ კვადრატში, ერთ სიღრმეზეა ნაპოვნი, ისინი ერთმანეთს ვერ მოერგო. უნდა ვიფიქროთ, რომ მათ ან აკლიათ შუალედური ფრაგმენტი, ან სხვადასხვა ეგზემპლარებს ეკუთ-

ვნოდა. დანარჩენი 3 ნატეხი ზედაპირულად აღმოჩნდა ნამოსახლარის გადახნულ ფართობზე, ხოლო 2 ფრაგმენტი – გორის ფერდზე სახელოსნოს მახლობლად [ცქვიტინიძე, 2019, 81-107].

ჩიხორის ნამოსახლარის სხვადასხვა კვადრატებში, ასევე ზედაპირულადაც მრავლად აღმოჩნდა მარცვლეულის სასრესი მრგვალი და ოვალური რიყის ქვები, ფილთაქვები და საბეგველები ინტენსიური გამოყენების კვალით [ცქვიტინიძე, 2019, 81-107].

ხელსაფქავის ქვები პირველად ადრქალკოლითურ ნამოსახლარებზე ჩნდება (ანასეული I, დარკვეთი, მელოური, ხორში). მათი ადრეული ნიმუშები მოგრძო ოვალური, მობრტყელო ფორმისაა, ხოლო გვიანენოლითში ქვედა ქვები დიდი ზომებით, მასიურობით გამოირჩევა და ნავისებურს ემსგავსება (ოდიში, ურთა, გურიანთა, კისტრიკი), თუმცა, ზოგჯერ მაინც გვხვდება მოგრძო, ოვალური ფორმის ხელსაფქავის ქვედა ქვები [ცქვიტინიძე, 2019, 81-107].

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს ადრესამინათმოქმედო კულტურის ძეგლებზე აღმოჩენილი ქვის ხელსაფქავები ტიპოლოგიურად გავს ერთმანეთს, მხოლოდ უმნიშვნელო ნიუანსებით განსხვავდება, რაც მეტ-ნაკლებად გვირვენებს დროში მათ ცვლილებას. გვიანქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე მათი რაოდენობა საგრძნობლად მატულობს, ხოლო უმეტესობა კი მკვეთრად ნავისებურ იერს იძენს (ჩიხორი, თეთრამინა, ოკრიბის-ახალსოფელი). ხელსაფქავების ფრაგმენტები აღმოჩენილია აგრეთვე დასავლეთ საქართველოს მდვიმური ძეგლების ზედა ფენებში (საგვარჯილე, სამელე კლდე, თეთრი მღვიმე და სხვ.). საგვარჯილის გვიანქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანის (II) ფენაში აღმოჩნდა აგრეთვე გრანიტის სამი სხვადასხვა ხელსაფქავის ფრაგმენტი. ერთ-ერთი ნაპოვნი იყო მღვიმის წინა ფართობზე 3 მ სიღრმეზე [ცქვიტინიძე, 2019, 81-107].

ოსტეოლოგიური მასალა და ძვლის იარაღი

ჩიხორის გვიანქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარმა, ამავე პერიოდის მღვიმურ ძეგლებთან შედარებით ნაკლებად შემოგვინახა ოსტეოლოგიური მასალა, რაც პირველ რიგში, განპირობებული უნდა ყოფილიყო დასახლების ტიპით (ლია ნამოსახლარი) და დასავლეთ საქართველოს თავისებური ეკოლოგიური პირობებით. არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ნახანძრალი ფენის ფაქტორიც, რამაც ჩანს შთანთქა ძვლოვანი მასალის გარკვეული ნაწილი. მაგრამ ყოველივეს მიუხედავად, დაზიანებულ ნამოსახლარზე მაინც შემორჩა 970 ერთეული ძვლოვანი მასალა – სხვადასხვა შინაურ და გარეულ

ცხოველთა ძვლების ნაშთის სახით. მასალა განსაზღვრა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პალეონტოლოგმა ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩმა, რის შედეგადაც გაირკვა, რომ ჩიხორის ნამოსახლარის მობინადრეებს მოშინაურებული ჰყოლიათ, როგორც მსხვილფეხა საქონელი (*Bos taurus Z* ტიპის), ისე წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი (Ovis aut Capra) – (ცხვარი, თხა, აგრეთვე ლორი (*Sus scrofa domestica*) და ძაღლი (Canis familiaris).

ძვლოვან მასალაში შედარებით მცირე ადგილი ეჭირა გარეულ ფაუნას. ნადირობის ობიექტი ყოფილა კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus maral* Ogilby), შველი (*Capreolus capreolus*), გარეული ტახი (*Sus scrofa attila* Thomas), კურდღელი, კვერნა.

ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის მიერ ჩატარებული ძვლოვანი მასალის რაოდენობითი ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ მათი დიდი ნაწილი – 90% ეკუთვნოდა შინაურ ცხოველებს, ხოლო 10% – გარეულ ფაუნას. შინაურ ცხოველთა ძვლებს შორის რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზეა მსხვილფეხა საქონელი (*Bos taurus Z*) – 50%, მეორე ადგილზე შინაური ლორი (*Sus scrofa domestica*), შემდეგ მოდის წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი (ცხვარი, თხა).

აღმოჩენილი ძვლოვანი მასალა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ნამოსახლარის ბინადართა მეურნობის ხასიათზე, ირკვევა, რომ მესაქონლეობა საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა, ხოლო ნადირობას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა.

შინაური ცხოველების ჯოგში პირველ და მეორე ადგილ-ებზე მსხვილფეხა საქონლის და ლორის ყოფნა, ჩიხორის გორის მაცხოვრებლების მკვიდრი, დამჯდარი ცხოვრების წესის მაჩვენებელი უნდა იყოს, ხოლო წვრილფეხა საქონლის ძვლების შედარებითი სიმცირე გვაფიქრებინებს, რომ მესაქონლეობას აქ მომთაბარული ხასიათი არ უნდა ჰქონდა.

ჩიხორის ნამოსახლარზე მოპოვებული ძვლოვანი მასალა და სხვა არტეფაქტები მონმობს, რომ ადგილობრივ მობინადრეთა მეურნეობაში მთავარი ადგილი ეჭირა შინათმოქმედებას და მესაქონლეობას, ხოლო დამხმარე მეურნეობა იყო ნადირობა გარეულ ცხოველებზე.

ძვლოვანი მასალის სიმრავლის მიუხედავად, ნამოსახლარზე შედარებით მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი ძვლის იარაღები და ნივთები.

ყურადღებას იპყრობს ძვლის სადგის-სახვრეტების თითქმის სრული არარსებობა, რომლებიც ასე დამახასიათებელია ადრესა-მინათმოქმედო კულტურის ძეგლებისათვის. გამონაკლისია ჩიხორის მხოლოდ ერთი, მცირე ზომის საკმაოდ უსახო, წვერნატეხილი

ცალი (სურ. 20,4). აღნიშნული იარაღების ნაკლებობის მიზეზად შესაძლოა მივიჩნიოთ ნამოსახლარზე აღმოჩენილი სპილენძის ე.წ. ოთხნახნაგა სადგისები (2 ც.), რომელებიც შესაძლოა აღნიშნული იარაღის ფუნქციას ასრულებდა, მაგრამ სხვა ძეგლებზე მათი აღმოჩენის ვითარება ზოგ შემთხვევაში საწინააღმდეგოს მიუთითებს. მაგალითად, ქვაცხელაზე ანალოგიური იარაღი აღმოჩნდა ირმის გავაში გარჭობილი, ანდა ხოვლეს ადრებრინჯაოს ხანის ყორლანძი აღმოჩენილი იყო ადამიანის ქუსლში შერჭობილი. ჩვენ არ გამოვრიცხავთ ამ იარაღის მრავალფუნქციურობას, არც ისაა გამორიცხული, რომ გარკვეულ ეტაპზე ძვლის სადგისები შეცვალა ლითონის იარაღმა, რომელმაც ახალი ფუნქცია შეიძინა.

ძვლის იარაღებს შორის ყველაზე მოულოდნელი იყო ისრისპირების აღმოჩენა (2 ც.) (სურ. 20,1-2) მაშინ, როდესაც ჩიხორის კაჟის ინდუსტრია ხასიათდება სხვადასხვა ტიპის კაჟის ისრისპირებისა და შუბისპირების სიმრავლით. ორი ისრისპირიდან ერთი მთელია, საკმაოდ დახვეწილი ნახელავია, აქვს ღეროსებრი მოგრძო ყუნწი, წვეროდან ყუნწისკენ განიერდება და პირიქით, ყუნწის ბოლოდან ზემოთ ოდნავ ფართოვდება, რომბისებურ ფორმას უახლოვდება, წვერი და ყუნწი წვეტიანია (სურ. 20,1). სიგრძე – 6 სმ, მაქსიმალური სიგანე – 1.2 სმ, მეორე ცალს წვეტი და ყუნწი წატეხილი აქვს და უხეშადაა ნაკეთები. მსგავსი ისრისპირები ცნობილი არ არის დასავლეთ საქართველოს ნეოლით-ქალკოლიტური ძეგლებიდან. მსგავსი ისრისპირები ნაპოვნია ქვაცხელების ნამოსახლარის C დონის ჰორიზონტებში – C3 ჰორიზონტში ერთი ცალია, C2 და C1 ჰორიზონტებში თითო ცალი, ხოლო B დონეზე უკვე 6 ცალია [ჯავახიშვილი, ღლონტი 1962, 26; ტაბ. IV].

ასევე ყურადღებას იპყრობს ჩიხორის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ძვლის ღერო, რომელიც პარალელური და გადამკვეთი ხაზებით შესრულებული ორნამენტით არის შემკული. ხაზები ქმნის რომბისებურ თუ სამკუთხა ორნამენტს (სურ. 20,3). ღეროს თავ-ბოლო წატეხილი აქვს, რის გამოც მის ფუნქციის დადგენა შეუძლებელია.

ოსტეოლოგიურ მასალის შორის გამოვყავით მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იარაღთა პატარა ჯგუფი (სულ 9 ერთეული), თუმცა რაც შემოვრჩა, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის აღნიშნული ნამოსახლარის ბინადართა სამეურნეო საქმიანობის შესახებ. მათგან 7 იარაღი რქისაა, 2 – ძვლის. აღნიშნული იარაღები დამზადებულია, როგორც გარკვეული ცხოველების რქებისაგან (ირემი, შველი), ისე შინაურ ცხოველთა ძვლებისაგან.

აღსანიშნავია, რომ აღმოჩნდა ღორის მხრის ძვლისაგან დამზადებული ორი იარაღი. ტრასოლოგიურ-ფუნქციონალური ანალიზით გაირკვა, რომ ეს იარაღები თოხად გამოყენებოდა.

რქის იარაღებიდან აღსანიშნავია კეთილშობილი ირმის (*Cervus Elaphus*) ორტოტა რქა (დაზიანებული) (სურ. 21), მცირე ზომის რქის წანაზარდებისგან ნაკეთები 6 იარაღი და ძვლის 2 თოხი. ამ იარაღებს ვიზუალურადაც მკაფიოდ ეტყობა გამოყენების კვალი – ღარების, ხაზების და სიპრიალის სახით, მაგრამ შემორჩენილი მუშაობის კვალის სახეობის განსაზღვრა ტრასოლოგიუტად უნდა იყოს შესწავლილი [ცქვიტინიძე, 2019, 81-107].

რქის საიარაღე ნედლეულის შერჩევისას უპირატესობა ენიჭებოდა რქის ბუნებრივ მოხრილობას და წვეტიანობას. მინის დასამუშავებელი იარაღებს სამუშაო პირი უმეტესად უკეთდებოდა რქის მოხრილობის მიმართულებით [ცქვიტინიძე, 2019, 81-107].

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რქის იარაღები, კერძოდ, კი კეთილშობილი ირმის (*Cervus Elaphus*) ორტოტა რქა, რომელიც აღმოჩნდა ნამოსახლარის 24A კვადრატის ორმოში 40 სმ სიღრმეზე. მიუხედავად იმისა, რომ ის მნიშვნელოვნად დაზიანებული და ნაკლულია, მასზე მაინც ყველაზე მკაფიოდ შემორჩა გამოყენების კვალი [ცქვიტინიძე, 2019, 81-107].

ჩიხორის ნამოსახლარის რქისა და ძვლის იარაღები ფუნქციურ-ტრასოლოგიური ანალიზის მეთოდით შეისწავლა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიდის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ქ. ესაკიამ. მან ორტოტა რქის წანაზარდზე დაადასტურა მიწაზე მუშაობის ინტენსიური კვალი (რქის შემორჩენილი საერთო სიგრძე – 14 სმ, მაქს. სიგანე – 10 სმ. რქის მოკლე წანაზარდის სიგრძე – 5.5 სმ, სიგანე – 3,2 სმ) (სურ. 21) [ცქვიტინიძე, 2019, 81-107].

რქის ძირითადი ღერძი და ცალი ტოტი გადატეხილია ტოტების უღლამდე, რის გამოც, არ ჩანს მისი ნაფუძარი. ტოტის გადატეხის ადგილზე კარგად ჩანს ბასრი იარაღით გაკეთებული ლრმა ნაჭდევები, რაც შეიძლება ამ ტოტის გადაჭრის მცდელობაზე მიუთითებდეს. მოტეხილი ტოტი რქის სამინათმოქმედო იარაღის სახელური უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება მთავარ ტოტს, რომელიც ამ იარაღის სამუშაო პირი და ყველაზე მეტყველი ნაზილია, აშკარად გვიჩვენებს მის მთავარ დანიშნულებას – კავშირს მინის დამუშავებასთან, რაც უკვე ვარაუდი არ არის, არამედ ქ. ესაკიას ტრასოლოგიურ-ფუნქციონალური კვლევის შედეგია. აღნიშნული ტოტი თუ წანაზარდი არ უნდა ყოფილიყო დიდი ზომის. მისი ბოლო ირიბადაა წათლილი და შექმნილია დაახლოებით

სწორკუთხა, ძირბრტყელი, ღრმად დაღარული სამუშაო პირი. პირსა და გვერდებზე ინტენსიური გამოყენების შედეგად გაჩენილ ღრმა დარებს, ნაჭდევებს და ლერძიდან ლერომდე მიმართულ ხაზოვან კვალს ფარავს სარკისებური სიპრიალე. ამ დაზიანებულ და ნაკლულ იარაღზე ტრასოლოგიური კვლევის შედეგად დადასტურდა მიწის დასამუშავებელი თოხისებური იარალის კვალი. ჩვენი აზრით ამ იარალის სამუშაო პირი, შესაძლოა, პრიმიტიული კავის ნაწილიც ყოფილიყო [ცქვიტინიძე, 2019, 81-107].

მიზათმოქმდების განვითარების დონის მაჩვენებელი პრიმიტიული იარალი-ირმის სამტოტა რქა პირველად აღმოჩნდა ქვაცხელას ნამოსახლარის B-I ფენაში. ძეგლის შემსწავლელები თვლიან, რომ ეს იარალი გამოიყენებოდა მიწის გასაფხვირებლად. მათი აზრით, აღნიშნული რქის ერთი ბრტყელი ბოლო (რომელიც მიღებული იყო მისი ირიბად ნაკვეთის შედეგად) მინას ჭრიდა, ზემო ნაწილი კი – მინას აფხვირებდა და კვალი გაჰყავდა. არ გამოვრიცხავთ, რომ ჩიხორის ორტოტა რქა დაზიანებამდე შესაძლოა ქვაცხელას აღნიშნული იარალის ანალოგიური ყოფილიყო. მსგავსი იარალი ცნობილია აგრეთვე არახლო I-დანაც [ცქვიტინიძე, 2019, 81-107].

ჩიხორის დანარჩენი 6 რქის იარალი მცირე ზომისაა (მათი სიგრძე – 8-8.5 სმ შორის მერყეობს, ფუძის სიგანე კი ყველაზე 2 სმ-ია). აღნიშნული რქის იარაღების ფუნქციურ-ტრასოლოგიური ანალიზის შემდეგ ქ. ესაკიამ დაადასტურა მათი წერაქვისებური იარალის ფუნქცია, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო რბილ მიწაზე. ამ იარაღების უმეტესობის ფუძე ამობურლულია. ზოგიერთს წვერი ბრტყლად აქვს წათლილი და ამ დარისებურ ნაწილზე ჩანს ინტენსიური გამოყენების კვალი წვრილი ხაზებისა და სიპრიალის სახით. ერთ-ერთ ამგვარ, ფუძეამობარულ და წვერნატეხილ რქას ორმაგი ფუნქცია უნდა ჰქონოდა. მას ფუძესთან მიბჯენილი აქვს ღრმა, განიერი და მოგრძო-ოვალური, კარგად ნაპრიალები ღრმული, რომელშიც კარგად ჯდება ცერა თითის ბალიში. ძნელი სათემელია, რისთვის გამოიყენებოდა ეს იარალი. ფუძეში შეიძლებოდა ჩამაგრებულიყო რომელიმე სხვა იარალი და მაშინ იგი ტარად შეიძლება გამოყენებულიყო. მაგრამ, ამავე დროს, წვერს რაღაც სხვა ფუნქცია უნდა ჰქონოდა წატეხვამდე (იარალის შემორჩენილი სიგრძე – 7 სმ, სიგანე ფუძესთან – 2 სმ, დარის სიგანე – 2 სმ, სიგრძე – 3 სმ). რქების უმეტესობა ინტენსიური ხმარებისგან კარგადაა ნაპრიალები [ცქვიტინიძე, 2019, 81-107].

ალ. ჯავახიშვილი ქვაცხელას რქის იარაღების საგვარჯილის იარაღებთან შედარებისას, მათ შორის გარკვეულ სხვაობას

ხედავდა. ის მართებულად თვლიდა, რომ ქვაცხელას იარაღი დასარტყმელი ფუნქციისათვის გამოუსადეგარი იყო. მასში იგი სამინათმოქმედო, კერძოდ სახვენლის ფუნქციას ხედავდა, ხოლო საგვარჯილისაში – წერაქვისას [ცქვიტინიძე, 2019, 81-107].

დღეისათვის, ფუნქციურ-ტრასოლოგიური ანალიზით უკვე დადასტურებულია ჩიხორის ორტოტა რქის სამინათმოქმედო დანიშნულება [ცქვიტინიძე, 2019, 81-107].

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ძვლის თოხები, რომელთა 2 ცალი ნარმოდგენილია ჩიხორის ნამოსახლარის კოლექციაში. მათგან ორივე იარაღი ნაკეთებია ლორის მეტაპოდაზე, აქვთ სამყუთხა ფორმა, ქონდათ წვეტიანი სამუშაო პირი, (რომელიც ამჟამად წატეხილია) და იარაღის შუა ნანილში სატარე ხვრელი (სურ. 22-23). პირველი ზომით ოდნავ მოზრდილია მეორეზე. პირველის შემორჩენილი სიგრძე – 9.7 სმ-ია, სიგანე ყუასთან – 5 სმ, სატარე ხვრელის დმ – 1.5 სმ, აღმოჩნდა 6A კვ-ში, 20 სმ სიღრმეზე (სურ. 22), მეორის – სიგრძე 8.5 სმ, სიგანე – 4 სმ, სატარე ღიობი – 1 სმ, აღმოჩნდა 24 A კვ-ში, 40 სმ სიღრმეზე (სურ. 23) [ცქვიტინიძე, 2019, 81-107].

ძვლის ორივე თოხი ზომით პატარაა. არქეოლოგიურ ლიტერატურაში თოხისებური და წერაქვისებური იარაღები მინის დასამუშავებლადაა მიჩნეული. აღნიშნული თოხები შესაძლოა, მინის ზედაპირულ დამუშავებას – განერას, მოთხრას უკავშირდებოდა. არ გამოვრიცხავთ, რომ ჩიხორის გორის ბინადართ მინის დასამუშავებლად ჰქონდათ უფრო ეფექტური, ქვის მაგარი ქანებისგან ნაკეთები ე.ნ. მაკროლითური იარაღებიც, რომელთა ერთ-ერთის წვერის ნატეხი აღმოჩნდა კიდეც ნამოსახლარზე. არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ხანძრის შედეგად ნამოსახლარის ბინადართ თვითონ ამოეკრიფათ ვარგისი ქვის იარაღები, რომლებსაც ცეცხლმა ვერაფერი დააკლო, ხოლო მოძველებული და დაზიანებული ძვლისა – დაეტოვებინათ. ჩვენი ვარაუდი, მითუმეტეს, მიგვაჩნია მისაღებად, რადგან დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ და ქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე (ოდიში, ურთა, კისტრიკი, თეთრამინა, თეთრი მღვიმე, საგვარჯილე და სხვ.) დადასტურებულია დიდი რაოდენობით ქვის მაგარი ქანებისაგან ნაკეთები, მაკროლითური ტექნიკით დამუშავებული თოხისებური და წერაქვისებური იარაღები. ძეგლის გათხრის შედეგად გაირკვა, რომ ხანძრის შემდეგ ნამოსახლარზე ცხოვრება არ გაგრძელებულა [ცქვიტინიძე, 2019, 81-107].

აქვე უნდა აღვნიშნოთ ნამოსახლარის ძვლოვან კომპლექსში მეტად მოულოდნელი ნივთის – ვეშაპის ხერხემლის მესამე მალის

(გაქვავებული) აღმოჩენის ფაქტი (განსაზღვრა პალეონტოლოგმანი, ვანიშვილმა). ნივთი ტრასოლოგიური ანალიზის მეთოდით შეისწავლა ქ. ესაკიამ. მან მალის ორივე მხარის პრტყელ ზედაპირზე დაადასტურა შუაში, ჩაღრმავებულ ნაწილში წრიული მოძრაობის (ხეხვის) კვალი. აღსანიშავია, რომ ვემაპების გაქვავებული ძვლები, მდ. ძუსას ხეობაში, სოფ. საზანოს რეგიონში ადრეც იყო აღმოჩენილი და შესწავლილი პალეონტოლოგ გ. მჭედლიძის მიერ.

ლითონის ნივთები

ჩიხორის ნამოსახლარზე არ იყო აღმოჩენილი ქვის გახეხილგაპრიალებული იარაღები – ცულები, სატეხ-სათლელები. ეს ფაქტი შეიძლება ნამოსახლარის არსებობის დროს, ყოფაში ლითონის შემოსვლის ფაქტზე მიუთითებდეს.

აღნიშნული არაპირდაპირი მაჩვენებელი დადასტურდა ჩიხორის ნამოსახლარზე ლითონის ნივთების აღმოჩენით. უნდა ვიფიქროთ, რომ ქვის იარაღების ზოგიერთი ფუნქცია ნამოსახლარზე უკვე ლითონის ნაწარმმა შეითავსა.

ნამოსახლარის კულტურულ ფენებში ნაპოვნია ოთხნახნაგა სპილენძის „სადგისი“ მოცისფრონ პატინით და ამგვარივე იარაღის ლეროს ფრაგმენტები (სურ. 13, I-2). ოთხნახნაგა ე.წ. სადგისები, ზოგიერთი არქეოლოგის მიხედვით კი, ისრიპირები დამახასიათებელია ქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებისათვის [ნებიერიძე, 2003, 49]. მსგავსი იარაღი ცნობილია საგვარჯილებან [ნებიერიძე, 2003, 171].

ამავე ფენაში ნაპოვნია სპილენძის მსხლისებური მცირე ზომის საკიდი, რომლის ანალოგები ცნობილია ტვლეპიას-წყაროს სამაროვნიდან [ჯავახიშვილი, ლლონტი, 1962, 42, 73], ასევე ქორეთ-ასპანეთის მე-3 სამარხიდან [ღამბაშიძე და სხვები, 2010, 344] (სურ. 13, A-3; 13, B-3; 13, ჩ; 13, D). მსგავსი საკიდები ჩრდილო კავკასიოდანაცაა ცნობილი, კერძოდ კი – ხალჩიკის სამაროვნიდან, თუმცა ის ძვლისგან ან ცხოველის კბილებისგან არის დამზადებული [მეცნიერებელთა კონფერენცია, 1982, 163-164].

ჩიხორის ნამოსახლარზე აღმოჩენილი სამი ლითონის ნივთიდან ორის სპექტრული ანალიზია გაკეთებული (ჩიხორის ლითონის ოთხნახნაგა სადგისის და ლეროს სპექტრული ანალიზი გაკეთდა აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში). აღმოჩენა, რომ ოთხნახნაგა ლეროების ძირითადი ბირთვი სპილენძია, რომელიც სხვადასხვა რაოდენობით შეიცავს დარიშხანს (As).

ოთხნახნაგა სადგისი შეიცავდა 1.8% დარიშხანს. ოთხნახნაგა ლეროს ნატეხი კი – 1.6% დარიშხანს. სავარაუდოდ, დარიშხანის მინარევი ხელოვნური არ უნდა ყოფილიყო.

ხელოვნურად დარიშხანის მინარევის ზღვრად მიჩნეულია სპილენძში – 2%-ზე ან 4%-ზე მეტი დარიშხანის შემცველობა. ჩიხორის ნივთების შემსწავლელის, ც. აბესაძის აზრით, ამ ნივთებში დარიშხანის მინარევი ბუნებრივი უნდა იყოს.

პალეოეთნობოტანიკური კვლევის შედეგები

ჩიხორის ნამოსახლარის კულტურული ფენიდან მომდინარეობს მნიშვნელოვანი პალეოეთნობოტანიკური მასალა, რომელსაც მიაკვლია და შეისწავლა პალეოეთნობოტანიკოსმა, მეცნიერებათა დოქტორმა ნ. რუსიშვილმა [ესაკია, რუსიშვილი, 2000, 13-14], [ცქვიტინიძე, 2019, 81-107].

ჩიხორის ნამოსახლარის უძრავ მდგომარეობაში გადარჩენილი XXIII ორმოს შიგთავსის გაცხრილვის შედეგად გამოვლინდა და განისაზღვრა პალეოეთნობოტანიკური მასალა – მარცვლოვანების ნიმუშები და პარკოსანი მცენარის თესლის ნაშთები. მარცვლოვანებიდან 5 ნიმუში ეკუთვნის რბილ ხორბალს, ხოლო I – შიშველმარცვალა ქერის. ხორბლის მარცვლები განისაზღვრულია, როგორც *Triticum aestivo-compactum schiemann*, შიშველმარცვალა ქერი – *Hordeum vulgare v. nudum*. პარკოსანი მცენარის თესლის ნაშთი მიეკუთვნა *Lathyrus* sp. გვარის ნარმომადგენელს. მიღებული მონაცემების მიხედვით ნ. რუსიშვილი თვლის: რადგან ნამოსახლარის სამეურნეო კულტურაში არსებობდა *Triticum aestivo- compactum*-ის ტიპის რბილი ხორბალი და შიშველმარცვალა ქერი *Hordeum nudum*, ამიტომ დასაშვებია ხორბლისა და ქერის შერეული ნათესების არსებობა. ჩიხორის პალეოეთნობოტანიკური მასალა არუხლო I და ხრამის დიდი გორის პალეოეთნობოტანიკური მასალის იდენტურია. სამივე ძეგლზე დაფიქსირებულია *Triticum aestivo- compactum*-ის დომინირება სხვა სახეობებთან შედარებით, რაც ხორბლის გვარის ეკოლუციის მაღალ ეტაპს გულისხმობს [ესაკია, რუსიშვილი, 2000, 13-14].

ჩიხორის ნამოსახლარის ქრონოლოგია-პერიოდიზაცია

დასავლეთ საქართველოს ქალკოლითის შედარებითი და აბსოლუტური ქრონოლოგია, მისი პერიოდიზაცია ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი საკითხია. მისი სირთულე განპირობებულია წყაროთმცოდნეობითი ბაზის სიღარიბით და ფართო ქრონოლოგიური განზოგადებისათვის არასაკმარისი არქეოლოგიური კვლევის მასშტაბით, სტრატიფიცირებული ნასახლარების და ნახშირბადული თარიღების (^{14}C) სიმცირით, ასევე სამაროვნების არარსებობით. დასავლეთ საქართველოს არც ერთი ღია ქალკოლითური ნამოსახლარი არ არის არქე-

ოლოგიურად სრულად შესწავლილი. უმეტესობა ზედაპირული მასალითაა წარმოდგენილი (თეთრამინა, ახალსოფელი) ხოლო რამოდენიმე ძეგლი in-situ სახითაა წარმოდგენილი (ჩაქვი, ძევრის ნამოსახლარი) [ფხაკაძე, 1992, 263]. მდვიმური ქალკოლითური ძეგლები უკეთ არის შესწავლილი და მათი რაოდენობაც შედარებით მეტია.

დასავლეთ საქართველოს ქალკოლითური კულტურის შესწავლას შედარებით ხანმოკლე ისტორია აქვს. 60-იანი წლებისთვის ამ რეგიონში საერთოდ არ იყო ცნობილი ქალკოლითური კულტურის ძეგლები. ამ პერიოდის ორიოდე წამოსახლარი – თეთრამინა და საგვარჯისო ნეოლითისადმი იყო მიკუთვნებული, რომელთა საშუალებით ხასიათდებოდა ნეოლითის მუა [კილაძე (ბერძენიშვილი), 1951] და გვიანი [კილაძე (ბერძენიშვილი), 1953] ეტაპებით. აღნიშნული ძეგლების თარიღი მაღლე დამკვიდრდა არქეოლოგიურ ლიტერატურაში, რომელსც ხშირად ეყრდნობოდნენ შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის დროს, განსაკუთრებით მტკვარ-არაქსის კულტურის ფესვების ძიებისას. იმსანად დასავლეთ საქართველოს ქალკოლითურ ძეგლებად მიჩნეული იყო ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები (დაბლაგომი, ოჩამჩირე და სხვ.) [ფხაკაძე, 1993].

აღნიშნულის გამო, ქალკოლითური კულტურის ხასიათი და მისი გენეტიკური კავშირი წინარე კულტურებთან ბუნდოვანი იყო. მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებში კი არ ჩანდა ის ნიშნები, რომელებიც შეიძლება მიგვეჩნია ნეოლითური კულტურის ტრადიციების უშუალო გაგრძელებად.

მოვიანებით, ჩატარებული კვლევების საფუძველზე, ნეოლითურად დათარიღებული ქალკოლითური ძეგლები (თეთრამინა, საგვარჯისო) გადათარიღდა და ქალკოლითურ კულტურას მიეკუთვნა [თუშაბრამიშვილი, ნებიერიძე, 1971, 76-84], [ნებიერიძე, 1972, 84-88], [ნებიერიძე, 2003], [ცქვიტინიძე, 2012, 18-38], [Формозов, Столляр, 1960].

ჩიხორის ნამოსახლარის ქრონოლოგიისა და პერიოდიზაციის საკითხის კვლევისას, ძირითადად ვეყრდნობით შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის შედევებს და დასავლეთ საქართველოს სტრატიფიცირებული ქალკოლითური ძეგლების მონაცემებს, ვიყენებთ სხვა ქალკოლითური ძეგლების ნახშირბადულ თარიღებს.

ჩიხორის ნამოსახლარის ქვის ინდუსტრიის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული ფორმების ხმარებიდან გამოსვლა, რაც ახასიათებს ადრელითონების (ქალკოლითი, ადრებრინჯაო) ხანის ძეგლებს. ქვის დამუშავების

მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის მიკროიარა-ლები ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ძეგლებისთვის [წებიერიძე, 1972]. მნიშვნელოვანია, რომ დასავლეთ საქართველოს მეზოლითურ და ნეოლითურ ძეგლებს ახასიათებს მიკროლითური ტექნიკა. ამიტომ ეს ნიშანი ჩიხორის კომპლექსის ქრონოლოგიური ადგი-ლის მაჩვენებელია.

ნამოსახლარის კაჟის ინდუსტრიაში, როგორც უკვე აღვნიშ-ნეთ, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შუბისპირებსა და ისრისპირებს. ეს ნიშანიც განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან ნეოლითურ კომპლექსებში ან საერთოდ არ გხვდება აღნიშნული იარაღები, ან გხვდება რამოდენიმე ცალი და ისიც ზედაპირულად მოპოვებული. შუბისპირების და ისრისპირების სიმრავლე კი სწორედ ადრელითონების ხანის ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი. ჩიხორის შუბისპირები და ისრისპირები, ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა ღია, ასევე, მღვიმური ქალკოლითური ძეგლების (თეთრამინა, ახალსოფელი, ძევრი) იარაღები დამზადებულია ანატკეცებზე ორმხრივი წნევითი რე-ტუშით [ცქვიტინიძე, 2012, 18-38].

ჩიხორის ნამოსახლარის ქვის ინდუსტრიის მეორე მკაფიო დამა-სასიათებელი ელემენტი წნევითი რეტუშით ორმხრივდამუშავე-ბული კაჟის ნამგლისპირები, ჩასართები. უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს ღია ქალკოლითურ ნამოსახლარებს ახასიათებს ორმხრივდამუშავებული ნამგლისპირების დიდი რაოდენობა, რომლებიც მოხრილი ნამგლის ჩასართებს წარმოად-გენს. ანალოგიური ნამგლისპირები ახასიათებს თეთრამინას, ტყიბულის ახალსოფელის და ყუბანისპირეთის ნამოსახლარებს [ცქვიტინიძე, 2012, 18-38]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი იარაღები არ გვხვდება დასავლეთ საქართველოს მღვიმურ ქა-ლკოლითურ ნამოსახლარებზე და არც დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ძეგლების კულტურულ ფენებში. ნეოლითის ხანაში მის ფუნქციას ასრულებდა სწორწახნაგა ლამელა, რომელიც სამკელი დანების ჩასართად გამოიყენებოდა [წებიერიძე, 1986]. კაჟის ორმხრივდამუშავებული ნამგლისპირები არ ჩანს აღმოსავ-ლეთ ამიერკავკასიის შულავერ-შომუ თეფვეს კულტურისა და წინა აზიის ადრესამინათმოქმედო ძეგლებზეც (ჰასუნა, სიალკი) [Бадер, 1989]. ისინი პირველად გვხვდება დასავლეთ საქართ-ველოს ღია ქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარების კომპლექსებში და მტკვარ-არაესის კულტურის ძეგლებში.

ჩიხორის კაჟის ინდუსტრიას სხვა დამახასიათებელი ნიშნებიც გააჩნია. იარაღების დიდი ნაწილი დამზადებულა ანატკეცების-

გან, ორმხრივი წნევითი, მცოცავი რეტუშის მეშვეობით. ნეოლითურ ძეგლებზე კი იარაღების უმეტესობა კაჟის ვიწრო, თხელ სწორახნაგა ლამელებზეა ჩამოყალიბებული, „მცოცავი“ რეტუში თითქმის არ გხვდება.

აღსანიშნავია კიდევ ერთი არსებითი ელემენტი ჩიხორის ნამოსახლარისა, ესაა ქვის სამაჯურების ფრაგმენტები. დასავლეთ კავკასიის ნეოლითურ ნამოსახლარებზე სამაჯურები არ გხვდება. მათი გამოჩენა ადრელითონების ხანას ემთხვევა. დიდი რაოდენობით გხვდება ისინი დასავლეთ ამიერკავკასიის და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ადრელითონების ხანის სხვადასხვა საფეხურის როგორც ღია, ასევე მღვიმურ ნამოსახლარებზე (დარკვეთი, საგვარჯილე, სამერცხლე კლდე, საქაჯია, თეთრამინა, „ოჩაუნი“, მეშოკო, სკლა, ვესიოლი და სხვ.) [ნებიერიძე, 1978; ნებიერიძე, 2003; ჯავახიშვილი, 1971; ფხაკაძე 1992; ცქვიტინიძე 2012, 18-38]. ქვის სამაჯურები ნეოლითის ხანაში მხოლოდ წინა აზიდანაა ცნობილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯარმოს სამაჯურებიანი კომპლექსი ძვ.წ. VI ათასწლეულით თარიღდება [ნადერ, 1989].

როგორც შედარებით-ტიპოლოგიურმა ანალიზმა გვიჩვენა, კომპლექსი ტიპური ქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანის არტეფაქტებითაა ნარმოდგენილი. ჩიხორში გვაქვს ყველა ის ნიშანი, რაც დამახასიათებელია ქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანის გარდამავალი პერიოდისთვის.

ჩიხორის ნამოსახლარის კომპლექსს ახასიათებს კვირისტავები. დასავლეთ კავკასიაში და საერთოდ, მთელ ამიერკავკასიაში კვირისტავები ქალკოლითის ხანაში ჩნდება. დასავლეთ ამიერკავკასიის არც ერთ ნეოლითურ ძეგლზე კვირისტავები ნაპოვნი არ ყოფილა. არ გვხვდება ისინი არც სამხრეთის ნეოლითურ კულტურებში.

დასავლეთ საქართველოს ქალკოლითური ძეგლების რადიონახშირბადული (14C) თარიღები ჯერჯერობით ცოტა გვაქვს. საყურადღებოა ძუძუანას მღვიმის (ჭიათურის რაიონი) ზედა ფენის კალიბრირებული რადიონახშირბადული თარიღები. ND-315 4366 ± 217 [ნებიერიძე, 2003, 85] და TB-315 3565 ± 130 [ფხაკაძე, 1993, 20], ე.ი. ძ.წ. V ათასწლეულის ბოლო და IV ათასწლეულის პირველი ნახევარი. ძუძუანა გვიანქალკოლითური ძეგლია, ამიტომ, დასავლეთ საქართველოს სხვა გვიანქალკოლით-ადრებრინჯაოს პერიოდის ძეგლის დასათარიღებლად ამოსავალ წერტილად ვიყენებთ ამ თარიღს. დასავლეთ საქართველოს კიდევ ერთი ქალკოლითური ღია სადგომიდან, კერძოდ, მაჭარას IV ფენიდან მიღებული 14C-ის თარიღი, რომელიც ძ.წ. 3810 ± 90

ნლით განისაზღვრა, რაც IV ათასწლეულის პირველ მეოთხედზე მიგვითითებს [ფხაკაძე, 1993, 23]. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რადიონახშირბადული თარიღების სერიის შესახებ, რომელიც ბავრა აბალარის ქალკოლითური ფენების გათხრების შემდეგ გაკეთდა. სერია მოიცავს 14 თარიღს რომელიც მიხედვითაც ადრეული და შუა ქალკოლითი ძვ.წ. 5000–4250 წლებით, ხოლო გვიანი ქალკოლითი IV ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება [Varoutsikos et al., 2017, 240]. დაჭდეულიპირიანი და ნასვრეტებიანი კერამიკის გამო ავტორები ამ ფენას ნოფი-სიონის ჯგუფს მიაკუთვნებენ, თუმცა ამგვარი კერამიკა დასავლეთ საქართველოს ქალკოლითურ ძეგლებშიც მრავლად მოიძებნება (სამელე კლდე და სხვა ძეგლები) [ჯავახიშვილი, 1971, ტაბ. VIII; ფხაკაძე 1993, ტაბ. II; ნებიერიძე, 2003, ტაბ. XXIII]. გარდა ამისა, ბავრა აბლარის კერამიკის კეცში ნამჯა იშვიათად შეინიშნება, ხოლო ნამჯანარევი კერამიკა ნოფის კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ბავრა აბლარის კერამიკა უფრო მეტ მსგავსებას ავლენს დასავლეთ საქართველოს ქალკოლითურ ძეგლებზე აღმოჩენილ კერამიკასთან, ვიდრე აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალკოლითის ხანის სამეტუნეო ნანარმთან.

ჩიხორის ნამოსახლარის ქვის ინდუსტრია ტიპოლოგიით, დამუშავების ტექნიკით და აგრეთვე კომპლექსის დანარჩენი ელემენტებით (კერამიკა, კვირისტავები) ახლო ანალოგს პულობს დარკვეთის და განსაკუთრებით, ძუძუანას გვიანქალკოლითურ კომპლექსებთან, რომლებიც კალიბრირებული რადიონახშირბადულ თარიღებზე დაყრდნობით ძვ.წ. V-IV ათასწლეულით თარიღდება [ფხაკაძე, 1993, 20].

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ჩიხორის ძირითად კერამიკულ მასალასთან ერთად თანაარსებობდა ადრეული მტკვარ-არაქსული კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები: მტკვარ-არაქსის ადრეული ეტაპი კალიბრირებული რადიონახშირბადული თარიღების გათვალისწინებით, ძვ.წ. V ათასწლეულის ბოლო – IV ათასწლეულის I ნახევარშია ნავარაუდევი [ქავთარაძე, 1981, 50]. აქედან გამომდინარე, გვიანქალკოლითისათვის მიღებული თარიღი, რომელიც ჩრდილოეთ უბეიდის ხანის ფინალური სტადიით დაახლოებით ძვ.წ. V ათასწლეულის II ნახევრით და IV ათასწლეულის I ნახევრითაა განსაზღვრული [ქავთარაძე, 1981, 50].

მოტანილი ზოგადი მონაცემების გარდა, რომლებსაც შეიცავს დასავლეთ საქართველოს გვიანქალკოლითური ძეგლები, ჩიხორის ნამოსახლარის დათარიღებას ამყარებს აგრეთვე, თვით ამ

ნამოსახლარზე დადასტურებული ფაქტები, კერძოდ: ჩიხორის კაჟის ინდუსტრიაში ნამგლისპირებისა და სატყორცნი იარაღების – შუბისპირების და ისრისპირების სიჭარბე და მრავალფეროვნება მიუთითებს ამ კომპლექსის ქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანის საფეხურისადმი მის კუთვნილებაზე. ჩიხორში დადასტურებული ქვის დამუშავების ტექნიკა და ტიპოლოგია აგრეთვე დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს ქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანისათვის. იგივე თარიღზე მიუთითებს ლითონის ოთხნახაგა „სადგისები“, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო ქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანით იყარგლება. ასევე ჩიხორის ნამოსახლარზე ნაპოვნი სპილენძის მსხლისებრ საკიდს ზუსტი ანალოგი ეძებნება ქვაცხელას ნამოსახლარის C ფენაში [ჯავახიშვილი, ლლონტი, 1962]. მნიშვნელოვანია კერამიკული ყალიბის ფრაგმენტების აღმოჩენის ფაქტი. ეს აღმოჩენა მიუთითებს, რომ ადგილზე ხდებოდა ლითონის ნივთების ჩამოსხმა. ცივი ჭედვისგან განსხვავებით, ჩამოსხმის მეთოდი მეტალურგიის განვითარების შემდეგ საფეხურზე მიუთითებს. მეტალურგიისათან დაკავშირებული კერამიკული ნაწარმი (ტიგელები) ქალკოლითური ძეგლებიდანაცაა ცნობილი [ჯავახიშვილი, 1971, ტაბ. XIV].

ჩიხორის კერამიკას ანალოგები გააჩნია დასავლეთ საქართველოს ქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანის ლია და მღვიმურ ნამოსახლარებში, როგორც ალვნიშნეთ, ჩიხორის კერამიკაში ძირითად ნაწარმთან ერთად არის მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელი ფრაგმენტების პატარა ჯგუფი, რაც აგრეთვე მხარს უჭერს ამ ძეგლის ქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანით დათარიღებას.

არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მიგვაჩნია, რომ ჩიხორის ნამოსახლარის სახით გვაქვს ფინალური გვიანქალკოლითოდან ადრებრინჯაოზე გარდამავალი საფეხურის ძეგლი.

ჩიხორის ნამოსახლარი და დასავლეთ საქართველოს ქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურა

ჩიხორის ქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანის კომპლექსი მატერიალური კულტურის საერთო ხასიათით მჭიდროდ უკავშირდება დასავლეთ ამიერკავკასიის მღვიმური ქალკოლითური ნამოსახლარების ჯგუფს (სამერცხლე-კლდე, სამელე-კლდე, ძუძუანა, დარკვეთი, თეთრი მღვიმე და სხვ.) [ფხავაძე, 1992, 251-258]. აღნიშნულ ძეგლებთან უახლოესი პარალელები, იარაღთა ცალკეული ფორმების და სხვა არტეფაქტების სრული დამთხვევა უფლებას გვაძლევს ვისაუბროთ ამ პერიოდში არსებულ კულტურულ ერთობაზე, ჩიხორის ნამოსახლარის კუთვნილებაზე ამ რეგიონის ერთიანი ქალკოლითური კულტურისადმი.

კომპლექსის კომპონენტების (ქვის ინდუსტრია, კერამიკა, ძვლოვანი მასალა) განხილვამ მიგვითითა დასავლეთ საქართველოს ქალკოლითური ტომების ფართო კავშირებზე მეზობელ სინქრონულ კულტურებთან. არქეოლოგიურ ნაშთებში მკაფიოდ გამოჩნდა სხვადასხვა კულტურების კომპონენტების თანაარსებობა – ადგილობრივი გვიანქალკოლითური (ქვისა და კერამიკის ქალკოლითური ტრადიციები), ადრეული მტკვარ-არაქსული (ხიზანანთ გორას A დონე), პროტომომაიკოპური, ბზენარევი, წოფის წრის გვიანქალკოლითური სამეთუნეო ნანარმი და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის კულტურული კომპლექსები, რომლებიც მონაწილეობდა ამ ძეგლის კულტურული იერის ჩამოყალიბებაში.

როგორც ნამოსახლარის მასალების ანალიზმა გვიჩვენა, ამ ნამოსახლარის მცხოვრებლებს ურთიერთობა ჰქონდათ ძ.წ. V ათასწლეულის II ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ადრესამინათმოქმედო კულტურის მატარებელ მოსახლეობასთან, რომლიც პირობითად წოფის წრის ჯგუფად იწოდება.

ჩიხორის ნამოსახლარისა და მასთან ერთად დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ქალკოლითური ნამოსახლარების მცხოვრებთა ურთიერთობა ყველაზე მკაფიოდ ჩანს ჩრდილოდასავლეთ კავკასიური (ყუბანისპირეთი), პროტომაიკოპური კულტურის მატარებელ ტომებთან [Kiguradze, Sagona, 2003, 45]. პროტომაიკოპური კომპონენტის გამოჩენა ამიერკავკასიაში მკვლევართა მიერ ნავარაუდევია უბეიდის და ურუქის პერიოდის დასაწყისში, რომელიც ჩამოყალიბდა წოფი-გინჩის გვიანქალკოლითური ბლოკის ჩარჩოში და განაგრძობდა არსებობას მტკვარ-არაქსის დასაწყისი პერიოდამდე (დიდუბე-კიკეთის ჩარჩოების ჩათვლით).

პროტომაიკოპურ კერამიკულ ფორმებსა და ტექნოლოგიურ თაფისებურებებს დეტალური პარალელები გააჩნია აღმოსავლეთ ანატოლიის ქალკოლითური ნამოსახლარების (არსლან თეფე VI A, ნორშუნ თეფე, თეფე ჯიქი) [Кореневский, 19995, 40; Ростунов, 1996, 2-10] უბეიდ-ურუქის პერიოდის სამეთუნეო ნაწარმის სახით, რის საფუძველზეც, აღნიშნული კერამიკული ტრადიცია აღმოსავლეთ ანატოლიიდან მომდინარეობს [Формозов, Столляр, 1960, 103-109]. ამიტომ, ამ ელემენტების ჩრდილო კავკასიაში გამოვლენა ითვლება აღმოსავლეთ ანატოლიიური კულტურული ზემოქმედების შედეგად [Кореневский, 19995, 40; Ростунов, 1996, 2]. ეს კულტურული ზემოქმედება პირველ-ყოვლისა, დასავლეთ

ამიერკავკასიამ განიცადა, რომლის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი უშუალოდ ემიჯნება აღმოსავლეთ ანატოლიას. ამ გეოგრაფიული სიახლოვის შედეგი უნდა იყოს ჩიხორის ნამოსახლარისა და საერთოდ დასავლეთ საქართველოს მღვიმური ქალკოლითისა და პროტო-მაიკოპური არტეფაქტების დეტალური პარალელები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა კულტურების აღნიშნული კომპონენტები, რომლებიც განსაკუთრებით ჭარბად შეინიშნება ჩიხორის ნამოსახლარის მასალებში, გხვდება სტრუქტურულად ერთ ფენაში, სტერილური შრის გარეშე, რაც მათ თანაარსებობასა და თანადროულობას მოწმობს. ყველაფერი ეს მიუთითებს ძ.წ. V თასაწლეულის II ნახევარში სხვადასხვა ეთნოკულტურული მოსახლეობის ურთიერთზემოქმედების პროცესზე.

ანალოგიური სურათი შეინიშნება დასავლეთ საქართველოს დანარჩენ მღვიმურ ძეგლებში (სამელე-კლდე, დარკვეთის ეხი, ძუძუანა და ა.შ.). მათში, ჩიხორის მსგავსად, ერთ ფენაში თანაარსებობს ადგილობრივი, პროტომაიკოპური და მტკვარ-არაქსისეული კულტურული კომპონენტები.

ჩიხორის ნამოსახლარის კულტურული ფენა მოწმობს ამ ნამოსახლარის სტაციონარულ ხასიათზე.

როგორც უკვე აღნიშნეთ, ნამოსახლარზე კარგად საბუთდება მესაქონლეობა, როგორც მეურნეობის დარგი. უნდა ვიფიქროთ, რომ დასავლეთ საქართველოს მღვიმური ქალკოლითური ნამოსახლარებისა და ჩრდილო კავკასიის სინქრონულ ძეგლებზე დადასტურებულმა მეურნეობის იდენტურმა ფორმამ განაპირობა ამ რეგიონების მატერიალური კულტურის სიახლოვე.

დასავლეთ საქართველოს მღვიმების გვიანქალკოლითური მესაქონლე ტომები უფრო მობილურები უნდა ყოფილიყვნენ, ვიდრე ამავე რეგიონის ლია ქალკოლითური ნამოსახლარების მიწათმოქმედნი. მათ ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ, როგორც ამ უკანასკნელთან, ისე ზემოაღნიშნულ სინქრონულ კულტურებთან.

ამგვარად, ჩიხორის ნამოსახლარის მასალების პარალელების საფუძველზე კარგად ჩანს ფინალური გვიანქალკოლითურ ადრებრიხვაოზე გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი გვიანქალკოლითური, ადრეული მტკვარ-არაქსული და პროტომაიკოპური კულტურის ელემენტების თანაარსებობა და სინქრონულობა.

ჩიხორის გვიანქალკოლითურ ფენაში ხიზანაანთ გორის E დონის კომპონენტისა და ქვაცხელას C დონის პარალელური მასალების გაჩენა უნდა მიუთითობდეს ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში მტკვარ-არაქსული მასალების გაჩენაზე.

დასკვნა

ჩიხორის ნამოსახლარის მასალების განხილვამ და დახასიათებაში საშუალება მოგვცა, გავცნობოდით ქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანის გარდამავალი პერიოდის დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მატერიალური კულტურის სხვადასხვა მხარეებს.

აღნიშნული კომპლექსის შესწავლა მიზნად ისახავს დიდი ხნის წინ გათხრილი და თითქმის გამოუქვეყნებელი დასავლეთ საქართველოს ლია ქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანის მეტად მნიშვნელოვანი წყაროს სამეცნიერო მიმოქცევაში შეყვანას. მის შესწავლას კავკასიის დანარჩენ ქალკოლითურ ძეგლებთან კავშირში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ქალკოლითიდან ადრებრინჯაოზე გარდამავალი პერიოდის პრობლემების კვლევაში, რომელიც ასე აქტიურია დღევანდელ არქეოლოგიურ მეცნიერებაში.

ჩიხორის ნამოსახლარი არის დასავლეთ საქართველოს პირველი ქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანის ლია ნამოსახლარი, რომელიც არქეოლოგიური გათხრების საშუალებით იყო შესწავლილი. ამ ძეგლის სამეცნიერო მნიშვნელობა დიდია ამ პერიოდის პრობლემების შესწავლის საკითხში. ნამოსახლარზე არ აღმოჩნდა სხვა კულტურული ფენის მასალები, რამაც ხელი შუწყო ამ პერიოდის „სუფთა“ კომპლექსის წარმოჩენას.

ჩიხორის ნამოსახლარზე აღმოჩენილი მკაფიო მასალის წყალობით ძეგლის ძირითადი მასალა შეიძლება დავათარილოთ ძვ.წ. V ათასაზღვეულის II ნახევრით - IV ათასწლეულის I ნახევრით, ხოლო სპილენძის საკიდის, მტკვარა-არაქსის კერამიკისთვის დამახასიათებელი ფრაგმენტების აღმოჩენა, ასევე შავზედაპირიანი და ვარდისფერსარტულიანი კერამიკის გაჩენა გავაფიქრებინებს, რომ ნამოსახლარის გვიანი ეტაპის თარიღი შესაძლოა ძვ.წ. III ათასწლეულის პრიველ მეოთხედში გადადიოდეს.

ჩიხორის ნამოსახლარის ნივთიერი ნაშთების შესწავლამ და მათმა შედარებამ საქართველოს ქალკოლითური ხანის კომპლექსებთან, მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ეს ნამოსახლარი უკავშირდება დასავლეთ საქართველოს ერთიან ქალკოლითურ კულტურას და მისი განვითარების ფინანსურ ეტაპს – ადრებრინჯაოზე გარდამავალ პერიოდს განხევუთვნება.

ჩიხორის ნამოსახლარის არქეოლოგიური კომპლექსის შესწავლამ ცხადყო, რომ ეს ნამოსახლარი ეკუთვნოდა დასავლეთ საქართველოს მინათმოქმედ-მესაქონლე ტომთა კულტურას, რომ მისი სახით გვაქვს დასავლეთ საქართველოს ადრესამინათმოქმედო კულტურის გვანქალკოლით-ადრებრინჯაოს ხანის გარდამავალი ეტაპის ძეგლი.

მისი დეტალური შესწავლა და შედარება სინქრონული ძეგლების კომპლექსებთან გვიჩვენებს, რომ ჩიხორის ნამოსახლარი დასავლეთ საქართველოს ადრესამინათმოქმედო კულტურის ძეგლებს შორის ყველაზე გვიანდელია.

Nikoloz Tskvitinidze

Chalcolithic-Early Bronze Age site of Chikhori

Summary

In the following work there are presented results of study of Chalcolithic-Early Bronze Age open air settlement of Chikhori which is situated near village Zeda Sazano, Terjola Municipality. After comparative-typological study of the site we have determined cultural belonging and chronological boundaries of the settlement. We have also identified it's development stages.

In the work we used the data collected in past century as well as results of latest studies. Comparative-typological analyses defined cultural belonging of the site and its relation relative synchronic sites also its place as local and global walk of life. From the chronological point we could determine development and final stages, which should have covered period from between second half of 5th millennium BCE. to end of the 4th millennium BCE. The final stage could cover beginning of the 3rd millennium BCE. From cultural perspective site belongs to the group of Chalcolithic sites form Rioni and Kvirila river banks.

The results of the study will be useful for researchers interested in early farming societies of the Caucasus and its problems.

დამოწმებული ლიტერატურა

- ბერძენიშვილი (კილაძე), ნინო. 1951. ახალი ქვის ხანი ძეგლები თეთრამიწიდან.
- მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკ. 29. თბილისი. გვ. 262.
- ბერძენიშვილი (კილაძე), ნინო. 1959. მრავალფენიანი არქეოლო-გიური ძეგლი „საგვარჯილე“.
- საქართველოს სსრ. მეცნიერების აკადემიის მოამბე, IV. თბილისი: მეცნიერება. გვ. 21-30.
- ესაკია ქ, რუსიშვილი ნ. ჩიხორის ნამოსახლარი პალეოეთნო-ბოტანიკური და ტრასოლოგიური მონაცემებით. ძიებანი, №6, 2000, გვ. 13-15.
- თუშაბრამიშვილი, დავით, ნებიერიძე, ლამარა. 1971. საქართველოს ზოგიერთი „ნეოლიტური“ ძეგლის დათარიღები-სათვის. საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, № 4. თბილისი: მეცნიერება. გვ. 76-84.
- ნებიერიძე, ლამარა. 2003. მღვიმე საგვარჯილეს ენეოლითური ხანის ნამოსახლარი.
- ნებიერიძე, ლამარა. 2001. ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი ოკრიბაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი „ძიებანი“, № 12. გვ. 23-33
- ნებიერიძე, ლამარა. 1978. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. თბილისი: მეცნიერება
- ნებიერიძე, ლამარა. 1986. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხური. თბილისი.
- ნებიერიძე, ლამარა. 1972. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. თბილისი.
- ფხაკაძე, გურანდუხტ. 1993. დასავლეთ ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში. მეცნიერება. თბილისი.
- ფხაკაძე, გურანდუხტ. 1992. საქართველოს არქეოლოგია. ტომი II. ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანა. თბილისი: მეცნიერება. გვ. 216-280.
- ქავთარაძე, გიორგი. 1981. საქართველოს ქალკოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე. თბილისი. გვ. 50.

ღამბაშიძე, ირინე, მინდაშვილი, გიორგი, გოგოჭური, გიორგი, კახიანი, კახა, ჯაფარიძე, ი. 2010 უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში. თბილისი

ჯავახიშვილი, ალექსანდრე, ლლონტი, ლილი. 1962. ურბნისი I ნაკვეთი პირველი ქვაცხელების (ტელეპია-ქოხის) ნამოსახლებრზე 1954–1961 წწ ჩატარებული გათხრები. თბილისი.

ჯავახიშვილი, გაიოზ. 1971. დასავლეთი ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადირსეტაციო ნაშრომი. საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი.

ჯაფარიძე, ოთარ. 1992. საქართველოს არქეოლოგია. ტომი II. ენეოლით-ადრე ბრინჯაოს ხანა. თბილისი: მეცნიერება. გვ. 5-15.

ცევიტინიძე, ნიკოლოზ. 2012. თეთრამიწის ქალკოლითური ნამოსახლარი. კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი „ამირანი“, XXIV. თბილისი. გვ. 18-38.

ცევიტინიძე, ნიკოლოზ. 2019. უძველესი სამიწათმოქმედო იარაღები დასავლეთ საქართველოდან. კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი „ამირანი“, XXXII. თბილისი. გვ. 81-107.

Meshveliani, T. 2013. On Neolithic Origins in Western Georgia. Archaeology, Ethnology and Anthropology of Eurasia. Vol 41, Issue 2, (June). pp. 61-72.

Nami, Hugo Scheinsohn, Vivian. 1997. Use-wear patterns on bone experimental flakers: A preliminary report. Proceedings of the 1993 Bone Modification Conference: pp. 256-264.

Kiguradze, T. and Sagona, A. 2003. On the origins of the Kura-Araxes cultural complex. Archaeology in the Borderlands. Investigation in Caucasus and Beyond, edited by A. T. Smith and K. S . Rubinson, pp. 38-94.

Varoutsikos, Bastien; Ana Mgeladze, Jwana Chahoud, Manana Gabunia, Tamar Agapishvili, Lucie Martin and Christine Chataigner. 2017. From the Mesolithic to the Chalcolithic in the South Caucasus:

New data from the Bavra Ablari rock shelter. Context and Connection: Essays on the Archaeology of the Ancient Near East in Honour of Antonio Sagona. Edition: Peeters, Chapter: Landscape Studies. Eds: Batmaz A, Bedianashvili Giorgi, Michalewicz A, Robinson A., pp.233-255

Бадер Н.О 1989. Древнейшие земледельцы Северной Месопотамии. Москва.

Небиеридзе, Л. Тортладзе, Г. 1991. О работах в Терджольском и Ткибульском районах. ПАИ в 1986 г. Тбилиси: Мецниереба. сс. 13-14.

Небиеридзе, Л. 1986. Раскопки на Чихорском поселении. АО. 1984 г. Тбилиси. сс. 23-25.

Небиеридзе, Л. 1984. Работа Терджольской Археологической Экспедиции районах. ПАИ в 1981 г. Тбилиси: Мецниереба. сс. 7-10.

Небиеридзе, Л. 1985. Археологические исследования на поселении Чихори. ПАИ в 1982 г. Тбилиси: Мецниереба. С. 8.

Небиеридзе, Л. 1986. Археологические исследования Терджольском районе. ПАИ в 1983 г. Тбилиси: Мецниереба. сс. 8-10

Небиеридзе, Л. 1987. Исследование Чихорского поселения. ПАИ в 1984-1985 гг. Тбилиси: Мецниереба. С. 5.

Кореневский С. Н. 1995. Галюгай I - поселение Майкопской культуры: археологические источники по проблеме древнейших земледельцев и скотоводов на кавказской границе Передней Азии и Восточной Европы. С. 40.

Ростунов В. Л. 1996. Проблемы переходного периода от энеолита к эпохе ранней бронзы на Центр. Кавказе. Доклад на международной конференции «Кавказ в контексте всемирной истории». Тбилиси. с. 10.

Формозов, А, А; Столляр А. Д. 1960. Неолитические и энеолитические поселения в Краснодарском крае. Советская археология, № 2. Москва: Наука. сс. 103-109.

Энеолит СССР. 1982. Ред.: Рыбаков Б.А.; Авторы: Массон В.М., Мерперт Н.Я., Мунчава Р.М., Черныш Е.К, Археология СССР. Том 3(20). Российская академия наук. Издательство «Наука». Москва.

დანართის აღწერა

- სურათი 1. ფოტო, ხედი ჩიხორის გორაზე.
- სურათი 2. ფოტო, ხედი ჩიხორის გორაზე.
- სურათი 3. აერო ფოტო და თხრილების გეგმა.
- სურათი 4. სიტუაციური გეგმა.
- სურათი 5. სიტუაციური გეგმა.
- სურათი 6. გეგმა და ჭრილები.
- სურათი 7. გეგმა და ჭრილები.
- სურათი 8. კერამიკული ნაწარმი.
- სურათი 9. კერამიკული ნაწარმი. მცირე ზომის თიხის ჭურჭელი და „ამულეტები“.
- სურათი 10. თიხის ჭირჭლის ყურები.
- სურათი 11. თიხის ჭირჭლის ფორმები. I-4 პრის ფრაგმენტები. 5 ძირის ფრაგმენტი.
- სურათი 12. თიხის ჭირჭლის ფორმები. I-4 პრის ფრაგმენტები. 5 ძირის ფრაგმენტი.
- სურათი 13. A ლითონის ნივთების გრაფიკული სურათი. 1 სპილენძის ოთხნახნაგა სადგისის ფრაგმენტი. 2 სპილენძის ოთხნახნაგა სადგისი. 3 სპილენძის საკიდი.
- B ლითონის ნივთების ფოტო სურათი. 1 სპილენძის ოთხნახნაგა სადგისის ფრაგმენტი. 2 სპილენძის ოთხნახნაგა სადგისი. 3 სპილენძის საკიდი.
- C ტვლეპიას-წყაროს სამარხში აღმოჩენილი სპილენძის საკიდები. (ჯავახიშვილი, ლლონტი 1962-მიხედვით)
- D საკიდები ქორეთ-ასპანეთის სამარხიდან (ლამბაშიძე და სხვები 2010, ტაბ. XX).
- სურათი 14. ნამგლისპირები.
- სურათი 15. ნამგლისპირები.
- სურათი 16. ნამგლისპირები.
- სურათი 17. 2-8, 11, 14 ისრის პირები. 1, 9-10, 12-13 შუბის პირები.
- სურათი 18. ხელსაფქვავის ფრაგმენტი.
- სურათი 19. ხელსაფქვავის ფრაგმენტი.
- სურათი 21. ირმის რქისგან დამზადებული სახნისი.
- სურათი 22. ღორის მხრის ძვლისგან დამზადებული თოხი.
- სურათი 23. ღორის მხრის ძვლისგან დამზადებული თოხი.

დანართი




სურათი 1




სურათი 2



ს 3 ითაცა




სურათი 4




სურათი 5

ჩიხორის ნამოსახლარი

გეგმა



პირობითი ნიშნები




ჰუმუსი



მოშავო ფენა



ნაცროვანი ფენა




ქვები




თიხები

განივი ჭრილი




გრძივი ჭრილი




სურათი 6

ჩიხორის ნამოსახლარი


გიგამა




განივი ჭრილი




გრძივი ჭრილი




სურათი 7








სურათი 8




სურათი 9




სურათი 10



0 1 2 3 4





0 1 2 3

A



B




C




D



სურათი I3




სურათი 14




სურათი 15




სურათი 16




სურათი 17



სურათი 18




სურათი 19




სურათი 20



სურათი 21



სურათი 22



სურათი 23